პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 257 (20608) ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.



სურათზე: მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საქდის-საქინფორმის ტელეფოტო.

## ოქტომბრის კურსი ჩვენი ისტორიული არჩევანია

დიდი ოქტომბერი ჩაგვრისა და ძალადობის სამყაროს წინააღმდეგ აღდგა, მან პირველმა დაუსახა კაცობრიობას სოციალისტური განვითარების რეალური პერსპექტივა. მაღალმა რევოლუციურმა იდეალებმა შთააგონა ჩვენი ქვეყნის ხალხებს ყოველივე საუკეთესო, გმირული, რაც ისტორიაში ლენინის საქმის განგრძობად შევიდა.

მაგრამ განვლილი 72 წელი სულაც არ ყოფილა ტრიუმფული სვლა, აქედან ნახევარზე მეტი ქვეყანამ დაჰყო საგანგებო, ექსტრემალურ ვითარებაში, რაც გამოწვეული იყო გამანადგურებელი ომებითა და მათი შედეგების ლიკვიდაციით, გამასავათებელი გამალებული შეიარაღებით. პიროვნების კულტისა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დიქტატის წლებში ლენინური იდეების დეფორმაციამ სერიოზული ზიანი მიაყენა ეკონომიკას და სოციალური დაძაბულობა გამოიწვია.

ყოველივე ამის დასაძლევად დაგვჭირდა სწორედ გარდაქმნა, რომელიც აღორძინებს სოციალიზმის ნამდვილ იდეალებს. განახლება ბრძოლაა. ღრმა ფესვები აქვს პრობლემებს, ძნელი გადასალახია ფსიქოლოგიური ბარიერები და ნეგატიური ტრადიციები. ამ გზას ვერ გავივლით, თუ მთლიანად არ ჩაებმება გარდაქმნაში ხალხთა მასების ენერგია და რევოლუციური შემოქმედება.

ჩვენ გვწამს მომავლის, ნამდვილ განახლებად საბჭოთა ადამიანები მხოლოდ სოციალიზმის გზას მიიჩნევენ, იციან, რომ წარმატებას მოიპოვებენ დაძაბული შრომით, ეკონომიკაში მტკიცე ძვრებით. ამას მოწმობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის საქმიანი ატმოსფერო.

დღეს დემონსტრანტების კოლონების თავზე, წითელი მოედნის გარშემო მდებარე შენობების ფასადებზე ვერ ნახავთ ოფიციალურ და მხნე ლოზუნგებს, დაპირებებს, რომ შევასრულებთ ყველაფერს — შეუძლებელსაც კი. მათ ნაცვლად წარწერილია ყველა ადამიანისათვის ძვირფასი სიტყვები: „მიწა — გლეხებს! ძალაუფლება — საბჭოებს! მშვიდობა — ხალხებს!“ დიდი ოქტომბრის ლოზუნგი აქტუალურია დღესაც, მასში გადმოცემულია სოციალისტური განახლების აზრი.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ვ. ა. კრიუჩკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ა. პ. ბირიუკოვა, ა. ვ. ვლასოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ე. მ. პრიმაკოვი, ბ. კ. პუგო, გ. პ. რაზუმოვსკი, ო. დ. ბაკლანოვი, ა. ნ. გირენკო, ი. ა. მანაენკოვი, ე. ს. სტროევი, გ. ი. უსმანოვი.**

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

წითელი მოედნის ქვაფენილზე საპარადო მწკრივში გარინდულან მოსკოვის გარნიზონის ჯარები.

მაცხოვრის კოშკზე კურანტებმა 10 საათი ჩამოჰკრეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა დ. ტ. იაზოვმა მიიღო პარადის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ვ. კალინინის პატაკი, ჩამოუარა ჯარებს, დღესასწაული მიულოცა პარადის მონაწილეებს. შემდეგ დ. ტ. იაზოვი ავიდა ტრიბუნაზე და სიტყვა წარმოთქვა.

### დ. ტ. იაზოვის სიტყვა

**ამხანაგო** საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავს.

დიდმა ოქტომბერმა დასაბამი მისცა საზოგადოებრივი პროგრესის ახალ ეპოქას. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, მშრომელი მასების რევოლუციური შემოქმედებით შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ოქტომბრით დასახულ გზაზე ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია და მძლავრ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამით სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა ადამიანები. სოციალიზმი და მისი ღირებულებანი კაცობრიობის ცივილიზაციის განუყოფელი და გავლენიანი შემადგენელი ნაწილი გახდა.

საბჭოთა ხალხი ახლა ახორციელებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ძირეულ გარდაქმნას. ფართო მხარდაჭერა პოვა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმამ თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი განახლების პროცესში ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა. მან ახალი იმპულსები მიანიჭა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებას, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, განამტკიცა გარდაქმნის შეუქცევადობის გარანტიები. აქტიური კანონშემოქმედებითი მუშაობა გაიშალა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

დღევანდელობის დამახასიათებელი ნიშნებია ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების პრაქტიკული გარდაქმნა, მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისება. მილიონობით საბჭოთა ადამიანი გარდაქმნას უკავშირებს თავის ბედს, თავის ინტერესებს, ქვეყნისა და სოციალიზმის მომავალს.

უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ კანონმდებლურად დამკვიდრებულმა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძვლებმა და პრინციპებმა. ისინი გამსჭვალულია ახალი პოლიტიკური აზროვნების იდეებით. ზოგადსაკაცობრიო ინტერესების პრიორიტეტის გათვალისწინებით საბჭოთა კავშირი და მოკავშირე სოციალისტური ქვეყნები თავიანთ ძალისხმევას წარმართავენ ომის საფრთხის შენელებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაწყებული შეიარაღებული ძალების ცალმხრივი შემცირება, თავდაცვითი წარმოების ნაწილის სამოქალაქო საჭიროებებზე გადაყვანა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საბჭოთა ხალხმა, მსოფლიო საზოგადოებრიობამ, მრავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა. ეს ხელშემწყობ შესაძლებლობებს უქმნის გამალებული შეიარაღების ალაგმვას, სამხედრო ხარჯების შემცირებას, რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებას.

მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში არიან გავლენიანი წრეები, რომლებიც კვლავ „ცივი ომისაგან“ მემკვიდრეობით მიღებული დებულებებით ხელმძღვანელობენ. დაწყებული პოზიტიური პროცესების შეუქცევადობა ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული.

ამას ითვალისწინებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების თავიანთ პოლიტიკაში. მის ეფექტიანობას უზრუნველყოფს გონივრული და საიმედო საკმარისობის დონეზე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების ახალ თვისებრივ პარამეტრებზე გადასვლა.

თავის თავდაცვით პოლიტიკას სსრ კავშირი ახორციელებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამოქმედებით.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, ისევე როგორც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროშიც, ფართოვდება და ღრმავდება გარდაქმნა. იზრდება ჯარების საბრძოლო მზადყოფნა, იხვეწება პირადი შემადგენლობის ოსტატობა, მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი მეომართა მრავალეროვან კოლექტივებში. არმიისა და ფლოტის პარტორგანიზაციებში დაიწყო მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVIII ყრილობისათვის, რომლის მიზანია კომუნისტების, მთელი პირადი შემადგენლობის შემდგომი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ფხიზლად და საიმედოდ იცავენ საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითს შრომას, სოციალიზმის მონაპოვრებს, უზრუნველყოფენ სრულ უშიშროებას ქვეყნისათვის, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნას ახორციელებს.

ვაშა!

• • •

გუგუნებს „ვაშა!“. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, გრიალებს საარტილერიო სალუტი.

მოედანზე მრავალი წლის ტრადიციისამებრ პირველები შემოდიან სამხედრო-მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელები. მელოდია, რომელსაც ისინი ასრულებენ, აიტაცა ათასსაყვირიანმა გაერთიანებულმა ორკესტრმა.

პარადი მიმდინარეობს ტრადიციისამებრ, რომელიც უკვე არაერთ ათეულ წელს ითვლის. მაგრამ მოსკოვის გარნიზონის ჯარების დღევანდელ საზეიმო მარშს თავისი განმასხვავებელი თავისებურებებიც აქვს, რაც განპირობებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელი ეტაპით.

წინა წლების საიუბილეო ზეიმისაგან განსხვავებით, ეს სამხედრო პარადი ნაკლებად ზარ-ზეიმურია. წითელ მოედანს ჩაუარა მხოლოდ საბრძოლო ტექნიკის 220 ერთეულმა, 16 ქვეითმა პოლკმა — საერთო ანგარიშით 8197 კაცმა. სპეციალისტთა აზრით, ეს ჯარების მინიმალური რაოდენობაა, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს სსრ კავშირის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალები.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია ზედიზედ საპარადო მწყობრში წითელ მოედანზე არ არის სტრატეგიული რაკეტები. განა არ მოწმობს ეს მჭევრმეტყველურად ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, რომლის რეალიზაციას მოჰყვა ის, რომ ახლანდელი ოქტომბრის დღესასწაულის წინ მოისპო ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული რაკეტების — 23-ის მთელი კლასი.

საბჭოთა არმია ჩვენს თვალწინ იცვლება. მისი მნიშვნელოვანი შემცირება მთელ მსოფლიოში აღიქვეს, როგორც საიმედო მაუწყებელი იმისა, რომ უბირთვო მსოფლიოს მიღწევის კურსი, რომელსაც ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, არა მარტო კეთილი სურვილი, არამედ რეალური პერსპექტივაა. დიდი ცვლილებები მიმდინარეობს თავდაცვით კომპლექსშიც, რომელიც შესამჩნევად შემობრუნდა სახალხო მეურნეობის საჭიროებების, ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნილებებისაკენ.

როგორც ყოველთვის, პარადის დასკვნითი აკორდი იყო ის, რომ მავზოლეუმის წინ ჩაიარა გაერთიანებულმა სამხედრო ორკესტრმა.

მარშის ჰანგები ნელ-ნელა მიწყდა.

პიონერებმა ყვავილები მიართვეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

მოედანზე შემოდიან დემონსტრანტები. კოლონებს მოსკოვის დროშებით წინ მოუძღვიან რაიონების წარმომადგენლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ცხრა თვის შედეგების მიხედვით. მათ შორის არიან მოსკოვის ჩარხსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი ვ. ბუკოვსკი, №24 სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. ვენიდიქტოვა, ეკონომიკისა და სტატისტიკის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. კორნიუხინი, მოსკოვის იაროსლავსკაიას მე-2 სალოკომოტივო დეპოს მემანქანე ა. მაქსიმოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ი. პოლუკაროვი, ექიმი პედიატრი ლ. უტენკოვა. სადღესასწაულო დემონსტრაციის პირველ რიგებში ყოფნის უფლება მათ გარდაქმნაში შეტანილი აქტიური წვლილით, შრომასა და სწავლაში მოპოვებული წარმატებებით მოიპოვეს.

„დემონსტრაცია“ განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით განწყობილების საჯარო გამოხატვაა. როგორიღაა ჩვენი განწყობილება რევოლუციის 72-ე წელს? გვედღესასწაულება? შეიძლება კი დღეს ადვილად გავცეთ პასუხი ამ კითხვას? ამავე დროს ინერციის ძალით, ჩვევით ხომ ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ ასი ათასზე მეტი მოსკოველი გამოვიდა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე. საჯაროობის თითქმის ხუთი წელი საკმარისი დროა იმისათვის, რომ განვთავისუფლებულიყავით გულუბრყვილობის სენისაგან, პოლიტიკური მიამიტობის, პირფერობისაგან. და გულგრილობისგანაც.

...მაგრამ კვლავაც წითელი დროშების, ჰაერში აფრენილი ბურთების რაოდენობით, მოედანზე გამოსული კოლონების რიცხვით უნდა განვსაზღვროთ დღესასწაული? ეს ითქვა პარლამენტის სესიაზე ოქტომბრის წლისთავის წინ. ერთ-ერთმა დეპუტატმა წინადადება წამოაყენა, უარი ვთქვათ საიუბილეო სტანდარტებზე, გადაჭარბებულ ზეიმურობაზე, მივცეთ მშრომელებს საშუალება თავიანთი დღესასწაული შემოქმედებითად მოაწყონ. მით უმეტეს, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის დაბადების დღე.

დღეს, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლების პერიოდში, დროულია ვიფიქროთ დიდი ოქტომბრის დღეზე, ისტორიაზე, გარდაქმნაზე.

ბევრი ჩვენი თანამოსაუბრე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატია. და არა იმიტომ, რომ ახლა ესენი „მოდური“ ადამიანები არიან. ხალხის რჩეულნი გამოხატავენ საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, აქვთ რეალური ძალაუფლება, რათა ხალხის მისწრაფებები სინამდვილედ აქციონ.

რაც უნდა თქვან პესიმისტებმა, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა, სსრ კავშირის ახლანდელი უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ძირეული ცვლილებების საუკეთესო დადასტურებაა. ახალი დეპუტატები არაფრით არ ჰგვანან მათ დამთმობ წინამორბედებს. და ყოველივეს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კონსტრუქციული კანონშემოქმედებისათვის არიან განწყობილი. ჩვენი პარლამენტის შენობის ფანჯრებს ამაოდ როდი შესცქერის იმედით წითელი მოედნიდან ოქტომბრის მრავალი ლოზუნგი, გაჩაღებულია მუშაობა დოკუმენტებზე, რომლებმაც ეს ლოზუნგები იურიდიულად უნდა დაამკვიდრონ, — საკუთრების, მიწის, იჯარის, სოციალისტური საწარმოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონებით. მის წარმატებაზეა დამოკიდებული ის, რომ მიწა დაუბრუნდეს პატრონს, სრული ძალაუფლება მიენიჭოთ მშრომელებს, ღირსეული ცხოვრება ჰქონდეს ყოველ საბჭოთა ადამიანს, დავუბრუნდეთ ეროვნული პოლიტიკის ეროვნულ იდეალებს, შევქმნათ თანასწორუფლებიან ხალხთა ფედერაცია.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს **ს. ა. ალექსეევს.**

— ამ დღეს, ვფიქრობ, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის გასაგები იმედით ვარ აღსავსე, რომ სწორედ ახლა, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით, მისი საკანონმდებლო აქტებით შეესხმება ხორცი ოქტომბრის იდეებს, ხალხის სრული ძალაუფლების იდეებს. იდეები, რომლებიც გულისხმობს, რომ მშრომლები წარმოების საშუალებათა რეალური ბატონ-პატრონები გახდებიან. ის ნათელი, რაც სწამდათ ჩვენს მამებს, პაპებს, როცა ცარიზმს შეუტიეს, ხორცს ისხამს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკაში.

წითელ მოედანზე ფრიალებს ლოზუნგი „საბჭოებს — რეალური უფლებამოსილება“. მოსკოვი ერთ-ერთი პირველი ემზადება კონკრეტული ეკონომიკური შინაარსით შეავსოს სახალხო ხელისუფლება: 1 იანვრიდან დედაქალაქი და მისი 33-ვე რაიონი ტერიტორიულ-სამეურნეო ანგარიშზე და ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადადის.

— ამისათვის, — ამბობს კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. კვაჩი, — ორგანულად უნდა დავუკავშიროთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესები იმ ტერიტორიის ინტერესებს, სადაც ისინი განლაგებულია. ჯერჯერობით კი ადგილობრივ საბჭოებს არა აქვთ რეალური ძალაუფლება მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად, იძულებული არიან ხელგაწვდილებმა იარონ. ვარაუდები გვიჩვენებს, რომ საბჭოს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის, სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების კვალობაზე საჭირო სახსრები გამოინახება. ჩვენი წინადადებანი ძნელად იკვალავს გზას, ხუთწლედი ხომ უკვე დაგეგმილია. მაგრამ ჩვენ ოპტიმისტები ვართ: მომავალი წელი რაიონის ეკონომიკაში სერიოზული შემობრუნების ბაზა უნდა გახდეს. ძალიან ველით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღებას.

საზოგადოების მზარდი პოლიტიზაცია განახლებაში აბამს მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებს. უკუაგდებენ რა ყბადაღებულ „ამძრავი ღვედის“ თეორიას, სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემაში თავიანთ ადგილს პოულობენ ჩვენი პროფკავშირები, „ზემოდან“ ზედმეტი მეურვეობისაგან თავისუფლდება ლენინური კომკავშირი, პოზიტიური პროცესების დაჩქარებისათვის ილწვის ახალ-ახალი დამოუკიდებელი გაერთიანებების უმრავლესობა. საზოგადოებრივი აზრის უფართოეს სპექტრს ასახავენ დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი იარაღი.

— როგორია დღეს წითელი მოედანი ტელეკამერის ობიექტივით? — მივმართავთ ტელეჟურნალისტ ა. კრუტოვს. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი დღეს შრომითს ვახტზეა.

— აი, უკვე მერამდენე წელია სადღესასწაულო რეპორტაჟების გადაცემაში ვმონაწილეობ. თუ გავიხსენებთ წარსულ ზეიმებს, ჩანს ასეთი კანონზომიერება: რაც უფრო ძნელი იყო ჩვენში ვითარება, პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც, მით უფრო მეტი ვარსკვლავები ჩანდა მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგომ ხელმძღვანელთა მკერდზე, მით უფრო დიდებული, პომპეზური ხდებოდა მსვლელობა, მით უფრო მეტი იყო ბაირაღები, მუსიკა, ყვავილები — ხელოვნური. თითქოსდა ყოველივე ამით ცდილობდნენ დაეჯერებინათ საკუთარი თავი და ყველა, რომ ჩვენში საქმე კარგად მიდის, რომ საწუხარი არაფერია. ამ ბოლო ხანს, გამოგიტყდებით, უფრო ძნელი გახდა ამ რეპორტაჟების გადაცემა. დღეს ამგვარი პატაკები, გაბერილი ციფრები, რა თქმა უნდა, ვერ გადის, ყველაფერი უფრო მკაცრი და უფრო საქმიანი გახდარა. მაგრამ ახლა უფრო საინტერესოა მიკროფონითა და კამერით მუშაობა. წინათ ადამიანები იძახოდნენ „ვაშა!“, „გაუმარჯოს!“, იქნევდნენ პლაკატებს, მოჰყავდათ მუქდინამიკური ურიკები, მაგრამ გულწრფელობა ყოველივე ამაში არ ჩანდა. კაცმა რომ თქვას, საიდან უნდა ყოფილიყო? ახლა ღიმილისთვისაც ნაკლები საფუძველი გვაქვს. ძალზე ძნელი წელიწადია. მან პირდაპირ შეგვძრა სხვადასხვა ამბებით. მაგრამ ადამიანებს სახეზე ვატყობ აზრიან გამომეტყველებას, თავისი ადგილის სერიოზულ გააზრებას ცხოვრებაში, ყოველივე იმაში, რაც ხდება, და, რაც მთავარია, იმედს. იმის იმედს, რომ დადგება გარდატეხა, რომ ცხოვრება უკეთესობისაკენ შემობრუნდება. და ეს გულწრფელი გრძნობები შთაგონებულ ხდის სახეებს.

დღესასწაულის სტუმართა შორის არცთუ ცოტანი არიან ისინი, ვინც მთელ ცხოვრებაში გამოატარა ოქტომბრის იდეალების რწმენა — კომუნისტები, მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მემარცხენე პროფკავშირული მოღვაწეები, ვერ იტყვი, რომ ბრიტანელი ბიზნესმენი პ. მეიჰიუ, რომელიც უკვე 30 წელია ვაჭრობს სსრ კავშირთან, გამსჭვალული იყოს რევოლუციური სიმპათიებით:

— გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას თქვენს გაბედულ წამოწყებებს. პერიოდი, რომელსაც ამჟამად საბჭოთა კავშირი განიცდის, ძალზე მძიმეა, მაგრამ ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა. რომ გამოჯანმრთელდე, ამისათვის ხომ საჭიროა ჯერ ტკივილი განიცადო. წინათ დასავლეთში ცოტა ვინმეს თუ სწამდა, რომ სსრ კავშირს შესწევს ცვლილებების უნარი. ახლა ყველაზე კონსერვატიული პოლიტიკოსებიც კი დარწმუნდნენ მ. ს. გორბაჩოვის გულწრფელობაში, იმაში, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნება გარდაქმნის უღრმესი არსია.

კოლონებში მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი... ამჯერად ისინი თავშეკავებული, ლაკონურია, ითვალისწინებს საზოგადოების რეალურ მდგომარეობას. წავიდა დრო, როცა ამგვარ მიმართვებს გაზეთის მთელი პირველი გვერდი ეჭირა და არ ტოვებდა მათზე ფიქრის დროს — რაც

(დასასრული მე-2 გვ.)

## სადღესასწაულო დარბაზობა კრემლში

[illegible]

### ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

[illegible]

სულ უფრო შორეულ წარსულში მიდის 1917 წლის ოქტომბრის დღეები, რომლებსაც ახალი სამყაროს გაჩენა უკავშირდება. დიადი რევოლუციის ყოველი წლისთავი — ეს არის თავისებური ჭეშმარიტების მომენტი, ჩვენი საქმეების შეჯერება რევოლუციის იდეალებთან, საბაბი — კვლავ და კვლავ ჩავუფიქრდეთ არა მარტო განცდილს, არამედ მომავალსაც.

ჩვენ ვამაყობთ, იმით, რაც გააკეთეს ჩვენმა ხალხებმა, რომლებიც ოქტომბრის დროშების ქვეშ დადგნენ! ამ დღეს ჩვენ უდიდესი პატივისცემით ვიხსენებთ საბჭოთა ადამიანების ყველა თაობას მათი ნაღვაწისა და საგმირო საქმეებისათვის.

მაგრამ ეს სიამაყე როდი გვიშლის ხელს ვხედავდეთ, რომ ყველაფერი ვერ გამოგვივიდა ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ ბოლშევიკებსა და ლენინს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რა არის ახლანდელ თაობათა ვალი. ჩვენ ვცხოვრობთ და ვშრომობთ გარდამტეხ დროში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივით გაჩაღებულმა გარდაქმნამ უდიდესი გასაქანი მიანიჭა როგორც თითოეული მოქალაქის, ისე მთელი ხალხის შემოქმედებითს, აღმშენებლობითს საქმიანობას.

ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წაგვივა საქმე.

რევოლუციური გარდაქმნა, საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდა დღეს ისტორიულ ოპტიმიზმს, იმის რწმენას გვმატებს, რომ ხორცს შევასხამთ ჩვენი ქვეყნის განახლების მასშტაბურ ზრახვებს.

ძნელად, მაგრამ განუხრელად მიიწევს წინ ეკონომიკური რეფორმა. ჩვენ ვქმნით სამართლებრივი სახელმწიფოს საკანონმდებლო საფუძვლებს. შემუშავებულია ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის პლატფორმა. სულ უფრო ნაყოფიერად მოქმედებს სოციალიზმის სასიკეთოდ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესი.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ახლანდელი კრიზისული პერიოდი, დავძლიოთ ისე, რომ არ ავყვეთ დაბნეულობას, ვიმუშაოთ მიზანდასახულად, ვიმუშაოთ მკლავდაკაპიწებულებმა. ვიყოთ ოქტომბრის გაკვეთილის, ლენინის ანდერძის ერთგული, ეს ნიშნავს თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, ვხედავდეთ მას ისეთად, როგორიც არის, და, რაც მთავარია — რეალისტურად, კონსტრუქციულად ვიმოქმედოთ.

გარდაქმნის ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობის გაგება, რომელიც სულ უფრო იზრდება ხალხში, ჩვენი დროის უმთავრესი ნიშანია.

ხალხზე დაყრდნობა საჭიროა ყველაფერში — საშინაო საქმეებ-

[illegible] ვხედებით, რომ „საერთაშორისო პოლიტიკის“ ცნების დედაარსია არა მარტო მთავრობათა ურთიერთობა, არამედ სწორედ რომ ხალხთა ურთიერთობა. მოვლენათა განვითარება აქ ლენინის მიხედვით მიმდინარეობს.

მთავარი, რაც დღეს ახასიათებს მსოფლიოს ადამიანთა განწყობილებას, ეს არის ჩვენი, დედამიწელების საერთო ბედის მთლიანობის შეგრძნება, იმის მზარდი გაგება, რომ მსოფლიო ერთიანი და ურთიერთდაკავშირებულია.

რა თქმა უნდა, ასეთი შეგრძნება ყოველთვის ჰქონდათ ხალხებს, ეს ხომ ბუნებრივად მოსდგამს ადამიანს, რომელიც დასაბამითვე შექმნილია ცოცხალი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის.

მაგრამ ძალზე ბევრი მტრობა, ძალზე ბევრი ბოღმა დაგროვდა ჩვენი საერთო საკაცობრიო ისტორიის მანძილზე. რამდენი ხანი დაგვჭირდება იმისათვის, რომ დედამიწის ხალხთა ცხოვრების ახალი ეტაპი ნამდვილად მშვიდობიანად ვაქციოთ? — ეს დამოკიდებულია ყოველ ჩვენგანზე, ჩვენს ერთობლივ ძალისხმევაზე, ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებაზე სამუდამოდ გამოვრიცხოთ ძალა როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი და სამართალი და ერთმანეთის პატივისცემა გავიხადოთ ნორმად და საერთაშორისო ცხოვრების კანონად. ვფიქრობ, ყველა აქ დამსწრე დამეთანხმება ამაში.

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მოგილოცოთ ყველას დღესასწაული.

ჩვენ მივმართავთ ყველა საბჭოთა ადამიანს და მხურვალედ ვულოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავს, ვუსურვებთ წარმატებას სოციალისტური სამშობლოს განახლების დიად საქმეში.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ ოქტომბრის სალამს ვუთვლით და მეგობრულად მივმართავთ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, მთელი მსოფლიოს კომუნისტებსა და დემოკრატებს, ყველა ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობარს.

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ დარბაზში მყოფ უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იზიარებენ ამ ზეიმს.

მადლობას მოვახსენებ სახელმწიფოების, მთავრობების, პარტიების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც გამოგვიგზავნეს მოსალმებანი და მილოცვები.

გილოცავთ!

• • •

დარბაზობამ გულთბილ, სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა.

(საქდესი).

## თბილისი, 7 ნოემბერი

**უჩვეულო** ვითარებაში შეხვდა წლევანდელ ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქი. ამჯერად არ ყოფილა სადღესასწაულო დემონსტრაცია, მშრომელთა კოლონები, დროშების ტევრი და საყოველთაო მხიარულება, როგორც წინათ იყო ხოლმე. სამწუხაროდ, ეს წელი ჩაგვიშხამა რესპუბლიკის ცხოვრების არაერთმა დრამატულმა დღემ: 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ, ქვემო ქართლისა და აფხაზეთის ტრაგიკულმა ამბებმა, მთიან აჭარასა და სვანეთში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამწვავებამ, გაფიცვებმა სერიოზული სიძნელეები მოგვიტანა ეკონომიკის და სოციალური სფეროს განვითარებაში.

ძნელი და არაერთგვაროვანია ცხოვრების თვისებრივი სვლის გზით წინსვლა. ინგრევა მრავალი წლის მანძილზე ფეხმოკიდებული გაუკუღმართებული წარმოდგენები, ჩვეულებები, შეხედულებები, ტრადიციები. თბილისის საქალაქო აღმასკომმა აღნიშნა ოქტომბრის 72 წლისთავის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, აგრეთვე გაითვალისწინა რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, და დათანხმდა ქალაქის შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის აზრისა და სურვილების საფუძველზე შემუშავებულ წინადადებას — მოგვეწყო თბილისში ჯარების პარადისა და მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის ნაცვლად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კრება. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აქტივის, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ჯარის ნაწილების წარმოგზავნილთა მონაწილეობით ეს კრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დიდ დარბაზში გაიმართა.

კრების დაწყების წინ მისი მონაწილენი, აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მივიდნენ საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე და ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ა. ი. პავშენცევი, ნ. ა. ჭითანავა, ზ. ს. ჯიქია, ნ. რ. საჯაია, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ო. ანდრიაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ვ. ა. პატრიკეევი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ი. გოგიბერიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ვეტერანები და ახალგაზრდობა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ, მან თქვა:

დღეს შესრულდა 72 წელი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოს განვითარებაზე.

ნიშანდობლივია, რომ ამ თარიღს მთელი ჩვენი ქვეყანა და საქართველოც ხვდებიან სწორედ რევოლუციური გარდაქმნებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რომ შეეხო. ვიცავთ რა თაობათა მემკვიდრეობითობის ლენინურ პრინციპს, დღეს ჩვენ სულ უფრო აქტიურად ვიცილებთ თავიდან წარსულის იმ ტვირთს, რომელმაც ვერ გაუძლო დროის გამოცდას, რომელიც მუხრუჭად ექცა საზოგადოებრივ პროგრესს, დემოკრატიის, ჰუმანიზმის, თავისუფლების იდეალებს, პატიოსანი, მშრომელი ხალხის ადამიანურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

გარდაქმნა შეეხო ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს — პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, ზნეობას. ეს რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, მაგრამ სხვა გზა, სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მომავალი სწორედ გარდაქმნისა და განახლების ბედზეა დამოკიდებული. ჩვენ ყველას გვწამს არსებული გზის სისწორე და ისიც, რომ გარდაქმნის წარმატება ყოველ ჩვენგანზე, თითოეულ მშრომელზე, მთელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შრომით აქტიურობაზე, ყოველი ჩვენგანის უდიდეს პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს არის პასუხისმგებლობა დღევანდელი და მომავალი თაობის წინაშე.

გარდაქმნის საფუძველია ჯანსაღი, დინამიკური ეკონომიკა, სადაც ძირეული თვისებრივი ცვლილებები ხდება — ეს არის მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის შექმნა, სტრუქტურული ცვლილებები, ეკონომიკის მაქსიმალური ორიენტირება სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტად, ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ეს არის წარმოებითი

(დასასრული მე-3 გვ.)

# ოქტომბრის კურსი ჩვენი ისტორიული არჩევანია

(დასასრული)

უფრო ნაკლებია საქმეები მით უფრო მეტია სიტყვები. გავიხსენოთ 1918 წელს რევოლუციის პირველი წლისთავის წინ საოქტომბრო მიმართვა. მის სახელწოდებას ეპოქის, გულუბრყვილო და რევოლუციური ეპოქის ბეჭედი ესვა: „ლოზუნგები და გამონათქვამები საოქტომბრო ზეიმისათვის". ბედნიერი დამთხვევით თუ დროის — მაშინდელის თუ ახლანდელის — მოთხოვნით მათი რაოდენობა 1918 და 1989 წელს თითქმის ერთნაირია — 17 და 16.

დღეს ჩვენი ოქტომბრის სათავეებს ეხმიანება მიმართვა: „ამხანაგებო! გარდაქმნა ლენინის დიადი საქმის, ოქტომბრის საქმის განგრძობაა! რევოლუციური ენერგიითა და რწმენით იბრძოლეთ საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლებისათვის!".

მოედანზე მოდის მოსკოვის კალინინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლონა. მიმდინარე წლის იანვრიდან, როცა კოლექტივმა იჯარით აიღო თავისი საწარმო, წარმოების მოცულობა აქ არსებითად გაიზარდა. საქმისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება გამოვლინდა მატერიალური რესურსების ეკონომიით, ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა ქარხნის შემოსავალი. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლამ მუშათა და ინჟინერთა ჯიბეზეც იმოქმედა: მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო ხელფასი.

დღეს სამეურნეო ანგარიშით და თვითდაფინანსებით მოსკოვის 800-ზე მეტი საწარმო შრომობს, მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში სახელმწიფო საკუთრებას წარმატებით უხამებენ კოოპერაციულს.

გარდაქმნის წარმატების გადამწყვეტ პირობებად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში დასახელებულია მუშათა შრომა, პოლიტიკური შეგნება და აქტიურობა. შესძლებით თუ არა 72 წლის მანძილზე უზრუნველგვეყოთ მათი კონტროლი წარმოებაში საქმის მდგომარეობისადმი? ვეკითხებით ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის ზეინკალს — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს დ. იოვლევს.

ოქტომბრისადმი პრეტენზიები უნიადაგოა. ჩვენ საქმის ახლანდელ მდგომარეობამდე მივედით არა იმათი მიზეზით, ვინც რევოლუცია მოახდინა, მისი იდეალების წყალობით კი არა, საწინააღმდეგოდ. დეფორმაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმათ, ვინც ქვეყანას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ. ეფექტიანობა — აი საკუთრების, შრომის ორგანიზაციის ამა თუ იმ ფორმის მიზანშეწონილობის მთავარი კრიტერიუმი. მაგრამ რა ეფექტიანობაზეა ლაპარაკი, როცა ათეული წლების მანძილზე ვერ ვნერგავთ რაციონალიზატორულ წინადადებებს, რომლებსაც შეუძლია მილიარდიანი მოგება მოუტანოს სახელმწიფოს? ჩვენი თაობის მოწოდება, ახლანდელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოვალეობაა დაამტკიცოს ოქტომბრის მონაპოვართა სასიცოცხლო ძალა, რეალურად შეასხას ხორცი იმას, რაზეც ილიჩი ოცნებობდა.

კრემლის გალავანზე მოკავშირე რესპუბლიკების გერბები და სსრ კავშირის გერბი სენატის კომშზე განასახიერებენ ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, რომლებმაც განვითარება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე.

ლაპარაკობს დ. ხუდონაზაროვი — ტაჯიკეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი:

— 7 ნოემბერი თარიღია, რომელიც ყოველ ჩვენგანს სიყმაწვილიდანვე ახლავს, ჩემთვის, კაცისათვის, რომელიც ყამირზე დაიბადა და ახლა მთის მხარეს წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, წმინდაა ეს დღე: 1917 წლის რევოლუციის ინტერნაციონალურმა ალმა თავისუფლება მისცა ჩემს მხარესაც. ჩემი ხალხი იზიარებდა ყველა გაჭირვებას, რომლებითაც მოცული იყო ქვეყანა სხვადასხვა წლებში. და მაინც, დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი წინაპრებისათვის, რომლებმაც ცნეს იგი აბსოლუტურად და ბოლომდე, რადგან მან გაათავისუფლა ისინი შუა საუკუნეების ბორკილებისაგან, ეს იყო დღესასწაული, და მე ძალიან მინდა, რომ იგი დღესასწაულად დარჩეს ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. ჩვენ ძნელ ხანაში ვცხოვრობთ, ზოგჯერ ძილს გვიფრთხობს მწუხარე ფიქრები. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს გარდამავალი პერიოდია: ტოტალიტარული სოციალიზმიდან ჩვენ მივდივართ ჭეშმარიტი დემოკრატიული სოციალიზმისაკენ, ვუბრუნდებით ჩვენს სათავეებს. ეს პერიოდი რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით უნდა დავძლიოთ. უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი დიდი სახლი, და არა დავყოთ იგი ეროვნულ ბინებად.

..მოდიან დემონსტრანტები. ქვეყნის მთავარ მოედანზე მოაბიჯებენ მოსკოვის საზურავების ქარხნის, ფეხსაცმლის გაერთიანება „ზარიას", დედაქალაქის სხვა საწარმოების მშრომელები. ჩვენი ეკონომიკისათვის დამახასიათებელ რთულ გარდამავალ სიტუაციაში ისინი წარმატებით ართმევენ თავს დაძაბულ გეგმებს, სახელშეკრულებო ვალდებულებებს. მოდიან კვლევითი და საკონსტრუქტორო ცენტრების თანამშრომლები, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი. მავზოლეუმის ტრიბუნის წინ ჩაიარეს კულტურის მოღვაწეებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების მუშაკებმა, მოსამსახურეებმა, მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა.

კოლონის თავზე ფრიალებს ლოზუნგი „პარტია — საჯაროობა, დიალოგი, დისკუსია". სიტყვას ამბობს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. დანკინი:

— ხელახლა ვკითხულობ დოკუმენტებს, გაზეთებს, პარტიულ ოქმებს, ვ. ი. ლენინის სტატიებს, რომლებიც დათარიღებულია 1917 წლის შემოდგომით. მათში დღესაც ისმის რევოლუციის მეტრონომი. მშრომელი ხალხის მძლეფვარე ენერგია და ბოლშევიკთა პოლიტიკური ნება, კარს მომდგარი ეროვნული კატასტროფა და დროებითი ხელისუფლების დამბლა. საით გადაიხრება პინა? ლიბერალთა კამათისა და მონარქისტული დიქტატურის მეშვეობით — თებერვალმდელი უბადრუკობისაკენ? თუ მხოლოდ წინ — ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლებისაკენ, მასების ცოცხალი შემოქმედებისაკენ? შთამომავალთა მადლობა იმათ, ვინც არ დარჩენილა უმოქმედოდ ისტორიის სასწორთან, არ ელოდა პროგრესის ყველა წანამძღვრის მომწიფებას, უცხოთა დახმარებას. ოქტომბერმა დაამკვიდრა რუსეთი დიდ სახელმწიფოთა მწკრივში.

წარსულის გაკვეთილებს ვერ შემოვფარგლავთ უფრო ისტორიული პარალელებით. ოქტომბერი ძალმომრეობის აპოლოგეტიკა კი არა, აღშენებლობის იმპერატივია, გაფრთხილებაა ისტორიის გადასხვაფერების ცდებისაგან. არჩევანი გაკეთებულია. 72 დიადი, მწარე, განუმეორებელი წელიწადი გამორიცხავს კეთილი ბელადის, საზღვარგარეთული ეტალონებით სამოთხის, ისევე როგორც მენშევიზმის რევანშის იმედს. მწამს, რომ ჩემი გოლიათი პარტია საბოლოოდ გამოფხიზლდება საღათას ძილისაგან ყრილობისწინა დისკუსიის გამამხნეველ ოზონში, ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე პატიოსან შეჯიბრებაში. ოქტომბრის ხსოვნა მოითხოვს ყოველდღიურ მუშაობას, მხოლოდ და მხოლოდ მას მოაქვს პური და საცხოვრებელი, ცოდნა და მშვიდობა.

სადღესასწაულო დემონსტრაციის დროს მ. ს. გორბაჩოვმა ინტერვიუ მისცა სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტს.

**კორესპონდენტი:** მიხეილ სერგის ძევ, გილოცავთ დღესასწაულს!

**მ. ს. გორბაჩოვი:** თქვენც ასევე მოგილოცავთ. ასეთ დღეებში გავიწყდება ყოველდღიური საზრუნავი და გეუფლება ფიქრი ჩვენს დიად საქმეზე. ჩვენთვის, და არა მარტო ჩვენთვის, ოქტომბერი მაინც შემობრუნებაა, ეს არის შემობრუნება მთელი ცივილიზაციის სვებედში. ის იდეალები და ლოზუნგები, რომლებიც ოქტომბრის დროშებზე იყო წარწერილი, დღესაც ჩვენი ორიენტირია.

როდესაც წითელ მოედანზე მოზეიმე ამ ზღვა ხალხს ვუყურებთ, უნებლიედ გვახსენდება ყოველივე, რაც გამოვცადეთ, გადავიტანეთ, ვაფასებთ მას, ვფიქრობთ ქვეყნის მომავალზე, ვწყვეტთ გარდაქმნის ამოცანებს. ეს ძნელი, ვაჟკაცური სამუშაოა, მაგრამ ყველას გვჭირდება. ჩვენ მიზნად დავისახეთ ავაღორძინოთ ჩვენი საზოგადოება, განვაახლოთ ქვეყანა იმ პრინციპებით, რომლებითაც ბოლშევიკებმა, მუშათა კლასმა, მშრომელთა მასებმა რევოლუცია მოახდინეს. ჩვენ ჩავუღრმავდით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, უკომპრომისოდ გავაანალიზეთ მთელი ჩვენი ისტორია. დარწმუნებული ვართ, რომ ოქტომბერში გაკეთებული არჩევანი პრინციპულად სწორია. აი, რაზე ვფიქრობ უწინარეს ყოვლისა.

აქ ვხედავ გარდაქმნის მხარდამჭერ ლოზუნგებს. ხალხი იმის მომხრეა, რომ უფრო მტკიცედ ვიაროთ გარდაქმნის გზით. ამჟამად ეს დღის ლოზუნგია. ჩვენ მოვიცილეთ ძველი ყალიბები, მაგრამ ახალი ჯერ არ მოგვირგია. ამის შედეგად გვაქვს რაღაც დანაკარგები, შესაძლოა, მმართველობაც შესუსტდა. მაშ რა, უკან დავბრუნდეთ? ეს იქნებოდა შეცდომა, უდიდესი შეცდომა. მაშასადამე, უნდა განვაგრძოთ წინსვლა. უფრო სწრაფად უნდა ვიაროთ ახალი ფორმებისაკენ, ავითვისოთ ისინი. ახლა უკვე ესმით ეს ხალხს, საზოგადოებას.

**კორესპონდენტი:** დღეს წითელ მოედანზე ვნახეთ ლოზუნგი: „გარდაქმნა სოციალიზმის ახალი იერსახეა"...

**მ. ს. გორბაჩოვი:** სოციალიზმი ჯერ მთლიანად არ წარმოჩენილა როგორც სისტემა, როგორც წყობილება. როდესაც ჩვენ სოციალიზმის განახლებაზე ვლაპარაკობთ, ამას ვუკავშირებთ უწინარეს ყოვლისა, ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მშრომელები ბოლშევიკებს იმიტომ გაჰყვნენ, რომ სურდათ ახალი ცხოვრება, ისეთი ცხოვრება, რომ უბრალო ადამიანს თავი კარგად, გულდაჯერებით ეგრძნო, ეგრძნო თავისი ბედისა და ქვეყნის სვებედის ბატონ-პატრონად. გარდაქმნა ხორციელდება დემოკრატიის, საჯაროობის მეშვეობით. ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის, ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის მეშვეობით. სულიერ კულტურას, პოლიტიკურ პროცესებს ადამიანთა ზიარების მეშვეობით. გარდაქმნა ამაღლებს ადამიანს. ეს არის უმთავრესი.

გარდაქმნის ამ უძნელეს მონაკვეთზე ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით, — მე დასაშვებად მიმაჩნია ეს გამოთქმა, თუმც იგი ძალზე მწარეა, — ჰკიდია გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სურსათთან და ბაზრის მდგომარეობასთან. ეს ადამიანებს საგონებელში აგდებს, გაღიზიანების ელემენტები შემოაქვს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ დავადექით განახლების გზას. აქ, სადღესასწაულო კოლონებში, მე დავინახე ლოზუნგი და მხარს ვუჭერ მას: „ჩვენ ლენინისეული სოციალიზმის მომხრენი ვართ". ვფიქრობ, განახლებული სოციალიზმი რეალიზაციაა ლენინური კონცეფციისა, რომლის ცენტრშიც დგას მშრომელი ადამიანი.

**კორესპონდენტი:** მიხეილ სერგის ძევ, ჩვენ ჩვეულებრივ ვესაუბრებით ადამიანებს, რომლებიც წითელ მოედანზე მოდიან სადღესასწაულო კოლონებში. როგორია, თქვენი აზრით, დღევანდელი დემონსტრაციის განმასხვავებელი ნიშანი?

**მ. ს. გორბაჩოვი:** თქვენ იცით, იგი უფრო დემოკრატიულია. არ არის ზარ-ზეიმი. ადამიანები ხალისით მოვიდნენ. ეს — პირველი. მეორე: ხომ ხედავთ, ხალხი ტრიბუნასთან გაჩერდა, უბრალოდ სურს მიიხედ-მოიხედოს. ისინი თავს მშვიდად გრძნობენ, არავინ არ უბიძგებს, ერთი სიტყვით, დემოკრატიული ვითარებაა. მე მომწონს, რომ ადამიანები ამ დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ახლანდელი სიტუაციის შესატყვისი მოწოდებებით — იმ სურვილით, რომ დასძლიონ, წარსულს ჩააბარონ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, ლახვარი ჩასცენ ბიუროკრატიზმს. ამავე დროს, ნახეთ, რამდენი საინტერესო ინფორმაციაა აქ, ამ კოლონებში! ერთ რაიონში მიმდინარეობს 16 ათასი კომუნალური ბინის რეკონსტრუქცია, კეთილმოწყობა და მათ მშრომელებს გადასცემენ. მეორეში — იბადება ჰოსპიტალი, მესამეში 24 პროცენტით გაუზრდიათ შრომის ნაყოფიერება. ამას ლოზუნგებში და პლაკატებზე ვხედავთ. ეს ნიშნავს, ადამიანებს ესმით, რომ საბოლოო ანგარიშით გარდაქმნის წარმატება მუშათა კლასის, მშრომელების გარჯასთან არის დაკავშირებული. ეს ახლანდელი დემოკრატიის განმასხვავებელი თვისებაა.

კიდევ იქნება მიტინგებიც, განხილვაც, ჩვენ გვჭირდება ასეთი განხილვა. ეს არის დემოკრატია, სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებისა, მაგრამ დღეს სულ უფრო მეტად გესმის, რომ გარდაქმნის გადამწყვეტი წარმატება დამოკიდებულია კონსტრუქციულ, შემოქმედებით მუშაობასთან, ორგანიზაციასთან, დისციპლინასთან, წესრიგთან. მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს კარგად ეხამება ერთმანეთს.

**კორესპონდენტი:** და ბოლოს: რას ისურვებდით დღეს, ოქტომბრის 72-ე წლისთავზე?

**მ. ს. გორბაჩოვი:** იქნებ, სწორედ ამით უნდა დაგვეწყო, მაგრამ ჩვენ ოქტომბრით დავიწყეთ და მაინც სწორად მოვიქეცით. ვსარგებლობ შემთხვევით, — სხვათა შორის, ესეც პირველად ხდება, გარდაქმნამ მოიტანა, რომ ინტერვიუ მავზოლეუმის ტრიბუნაზე ეწყობა, — მე მინდა ჩვენს საბჭოთა ადამიანებს ვუსურვო ახალი სასიკეთო მიღწევები, ვუსურვო ჩვენს ქვეყანას განახლება. გულითადად, მხურვალედ ვულოცავ ქვეყნის ხელმძღვანელობის სახელით ყველა საბჭოთა ადამიანს ჩვენს მთავარ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის დღესასწაულს!

დღეს ჩვენ ბევრნი — 100-ზე მეტი ეროვნების 286 მილიონი ვართ, როგორც ახლახან გვაუწყეს სტატისტიკოსებმა. ჩვენ უკეთ უნდა ვიცხოვროთ, და შევძლებთ მივაღწიოთ ამას — ჩვენს საკუთარ წყობილებას უდიდესი პოტენციალი აქვს. დაე, ჩვენი საყრდენი იყოს ოქტომბერი თავისი ნათელი იდეალებით, დიდი მსხვერპლით, რომლის წინაშე ვალში ვართ, მისი ჰუმანიზმისა და უმაღლესი სამართლიანობის რევოლუციური რწმენით.

**რეპორტაჟს წითელი მოედნიდან უძღვებოდნენ საკდესის კორესპონდენტები ლ. ერმაკოვა, მ. ზახარჩუკი, ვ. იანჩენკოვი, ვ. ორლოვი, ბ. შესტაკოვი, ვ. შიშლინი.**

# თბილისი, 7 ნოემბერი

(დასასრული)

ურთიერთობის არსებითი სრულყოფა, შრომის სტიმულირების თვისებრივი შეცვლა, რათა წარმოების საშუალებათა ნამდვილი მფლობელი და განმკარგულებელი იყოს მშრომელი ადამიანი, ხალხი.

გარდაქმნას ადამიანები ახდენენ და იგი ადამიანებისათვის, მათი უკეთესი ცხოვრებისათვის ხდება. სწორედ ამიტომ ფართოვდება ხალხის თვითმმართველობა, დემოკრატია და საჯაროობა, როგორც განახლებული საზოგადოების შინაგანი მოთხოვნილება, მისი არსებობის წესი, ფორმა და შინაარსი.

მაგრამ დემოკრატია არასდროს არ უნდა გავიგოთ ცალმხრივად, როგორც მხოლოდ უფლება, თითოეული ადამიანის კონკრეტული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გარეშე.

თუ ასე ობიექტურად არ მივუდექით, შეუძლებელი იქნება სწორად გავიზიაროთ ის უდიდესი ძვრები, რომლებიც დღეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ხდება და ეკონომიკის ძირფესვიან რეკონსტრუქციას, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, მის ჰუმანიზაციას, ეროვნული თვითშეგნების არნახულ ზრდას, საზოგადოების ფართო მასების პოლიტიზაციას, აზრთა პლურალიზმს, კონსტრუქციულ, პრინციპულ დიალოგს და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება.

როგორც მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება მშრომელთა ფართო მასების მაღალი პოლიტიკური სიმწიფე და ზნეობა, დემოკრატიის კულტურა, ცივილიზებული დიალოგის უნარი, ურთიერთგაგების ხელოვნება, კანონების პატივისცემა, მათი უზენაესობა. სამართლებრივი სახელმწიფო მარტოოდენ საკანონმდებლო აქტებით როდი იქმნება. მას უწინარესად ადამიანები ქმნიან.

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმასაც, რომ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის წარმატებით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობაც. ისინი გარდაქმნას სრულიად სამართლიანად უკავშირებენ მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეალების გამარჯვებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს მთელ მსოფლიოში.

ყოველივე ამის შემოქმედი კი პარტიაა, რომელიც თვითგარდაქმნისა და თვითსრულყოფის ინტენსიურ პროცესშია. პარტია ედგა სათავეში დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, პარტიამ წამოიწყო ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივი, რევოლუციური გარდაქმნა, გარდაქმნა, რომელსაც ყველა იმედითა და რწმენით შეჰყურებს. როგორც ამხანაგმა მიხეილ გორბაჩოვმა აღნიშნა, პარტია, სოციალიზმი და გარდაქმნა განუყოფელი ცნებებია.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ.

• • •

კრებები, მიტინგები, მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი მოეწყო აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ამ ღონისძიებებზე, ბუნებრივია, გაისმოდა ამჟამად მიმდინარე პროცესების არაერთგვაროვანი შეფასებანი, იყო დიდი სჯა-ბაასი მტკივნეულ პრობლემებზე, საზოგადოებრიობის ყველა ფენის კონსოლიდაციის, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის გზებზე ცხოვრების რადიკალური განახლების ინტერესების სასიკეთოდ. (საქინფორმი).

# არდადეგები უნდა დაიმსახურო

## საპარლამენტო კვირა კრემლში

**მწეველთა** და ლუდის მოყვარულთა ფინანსური კეთილდღეობა ბეწვზე ეკიდა. უმაღლესი საბჭოს კომიტეტებმა და კომისიებმა, რომლებიც დამატებითს სახსრებს ეძებდნენ, წინადადება წამოაყენეს გაეძვირებინათ თამბაქო და მისი ნაწარმი საშუალოდ 30 პროცენტით, ლუდი — 20 პროცენტით, და მათთან ერთად გაეძვირებინათ ზოგიერთი დელიკატესი. ამ აქციის მოტივებს ფრიად კეთილშობილური მიზნებით ხსნიდნენ: სახსრები უნდა მოხმარებოდა ინვალიდებისათვის დამატებითს გადასახდელებს, ხელმოკლე ოჯახების დახმარებისა და სოფლის კულტმუშაკების ხელფასის მომატებას, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ხარჯების გაზრდას და ა. შ. ასეთი ღონისძიება არგებდა თვით „დაზარალებულებსაც": ეკონომიის მიზნით ისინი ნაწილობრივ უარს იტყოდნენ მავნე ჩვევებზე და გაუფრთხილდებოდნენ საკუთარ ჯანმრთელობას. წინადადება მაცდუნებელი იყო. რამდენიმე კაპიკი დასტა სიგარეტზე, კიდევ რამდენიმე — კათხა ლუდზე, და წლის ბოლოს ამ კაპიკებით 2,6 მილიარდი მანეთი შეგროვდებოდა.

და მაინც, ბიუჯეტის შევსების ეს სამი პუნქტი არ მიიღო სესიამ, სადაც ქვეყნის საგეგმო გეგმასა და ბიუჯეტს განიხილავდნენ. თამბაქოს ნაწარმის გაძვირებას მხარი დაუჭირა მხოლოდ 54 კაცმა, ლუდისას კიდევ უფრო ნაკლებმა — 44-მა, დელიკატესებისას — 58-მა.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვივარაუდოთ — და ბევრნი ამის გამო ოხუნჯობდნენ კიდეც შესვენების დროს, — რომ დეპუტატებმა, ძირითადად მამაკაცებმა, საკუთარი ინტერესების გამო თქვესო უარი. მაგრამ, ვფიქრობთ, მთავარი მაინც სულ სხვა რამაა.

ჩვენი დასნეულებული ეკონომიკის „განკურნვის" მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ სულ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა ფასების სტაბილიზაციის, მშრომელთა ინტერესებისათვის მათდამი კონტროლის, საქონლით ბაზრის გაჯერების კურსი. გამოსულმა დეპუტატებმა ეს შეახსენეს უმაღლეს საბჭოს და სამართლიანად უსაყვედურეს, ვინაიდან გატეხო ხალხისათვის მიცემული სიტყვა, — ეს ნიშნავს შეურყიო მას რწმენა. სულ ცოტა, უახლოესი 15 თვის განმავლობაში ფასები უცვლელი უნდა დარჩეს. გარდა ამისა, არ არის სულ ერთი, თუ რა წყაროებით ფინანსდება ჯანმრთელობის დაცვა და ხალხის კეთილდღეობა. „რაღაც უნდა დაგვიჯდეს" პრინციპი დღეს აღარას გვარგებს: იგი ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზმს.

იყო სხვა წინადადებებიც — „მდიდრებს დავაყაჭინოთო". მაგალითად, უფრო ძვირად გავყიდოთ ოქრო და თვალ-მარგალიტი. მაგრამ რა ქნან ახალგაზრდებმა, მათ რაღა დააშავეს? ნიშნობის ბეჭედიც ვეღარ იყიდონ? — გაისმა მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

გადაწყდა, რომ მთავრობა, რომელსაც, სხვათა შორის, არ დაუჟინია ამ პუნქტების მიღება, გამოძებნის სოციალური პროგრამის განმტკიცების სხვა წყაროებს.

„თუთუნ-ლუდის" გამო კამათი მხოლოდ ეპიზოდია სჯა-ბაასისა, ორ დღეს რომ მიმდინარეობდა უმაღლეს საბჭოში გეგმისა და ბიუჯეტის საკითხებზე. ძნელია წონასწორობის დარღვევის პირობებში გამოძებნო სახსრები ჭეშმარიტად მაღალი მიზნების მისაღწევად — საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენისა და განსაკუთრებით ხელმოკლეთა და უმწეოთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. შემოთავაზებული დოკუმენტების პროექტები უბრალოდ მორიგი ყოველწლიური ქაღალდი როდია.

ეს არის რუკები და კომპასი, რომლებიც გაისად მეჩეჩებს შუა გაგვატარებს და რომლებშიც მოფიქრებული და გაანგარიშებული უნდა იყოს ყველა მიმართულება — რა ვაკეთოთ და რა ვხარჯოთ. როგორც დავგეგმავთ, ისე ვიცხოვრებთ. და არა მარტო გაისად, არამედ მეცამეტე ხუთწლედშიც, იმიტომ, რომ მისი საძირკველი ასევე დღეს იყრება.

კარგი განწყობილებით, პირნათლად მოხდილი ვალის გრძნობით მიდიან სადღესასწაულო არდადეგებზე დეპუტატები: ოქტომბრის ჰუმანური იდეალები დღეს რეალობა ხდება.

**ლ. ერმაკოვა,**
**საკდესის საპარლამენტო მიმომხილველი.**

ვულოცავთ ლაურეატებს!

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა [illegible] ტის თანამშრომლებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, აგრეთვე, ჩვენს თანამემამულეს — **ნოდარ შალვას ძე ორჯონიკიძეს,** მეტალურგიული ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" დირექტორს.

# საუკეთესო ჯილდო...

[illegible] ნოდარ ყიფშიძე, ამავე ინსტიტუტის ინფარქტის განყოფილების გამგე პროფესორი გულნარა ჩაფიძე და განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები, ლუიზა მარსაგიშვილი და მერაბ ბოხუა.

ქართველმა მეცნიერებმა თავის რუს კოლეგებთან ერთად [illegible] ბრიობის ამ ნომერ პირველი მტრის, მკურნალობაში უკვე თქვა თავისი სიტყვა, გამოყენება პრაქტიკულად ყველა კარდიოლოგიურ განყოფილებაში შეიძლება.

ვულოცავთ ქართველ მედიკოსებს დამსახურებულ ჯილდოს!

**ჟულინა ხარებაშვილი**



ნოდარ ყიფშიძე.



გულნარა ჩაფიძე.



მერაბ ბოხუა.



ლუიზა მარსაგიშვილი.

# დამატებითი შეღავათების შესახებ

**იმის** გამო, რომ სამინისტროების, უწყებებისა და შრომითი კოლექტივებისაგან შემოდის შეკითხვები, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ დაამტკიცეს განმარტება „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველზე მე-5 მუხლის შესაბამისად დამატებით ფასიან შვებულებათა მიცემის შესახებ".

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, ნათქვამია ამ დოკუმენტში, უფლება აქვთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მეხუთე მუხლის შესაბამისად დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებანი მუშაკთათვის დამატებითი ფასიანი შვებულების მიცემის შესახებ, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. მაგალითად, კარგი შრომის შედეგებისათვის, ან ქალებისათვის, რომლებიც ზრდიან ბავშვებს და ა. შ.

ასეთი შვებულებების მიცემის პირობებსა და წესს, აგრეთვე მათს ოდენობას განსაზღვრავს საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივების საბჭოებთან და პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად, გადაწყვეტილება დამატებითი შვებულებების მიცემის შესახებ უნდა დამტკიცდეს კოლექტიური ხელშეკრულებით.

ხარჯები ამ მიზნით: შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 4 მაისის № 372 დადგენილებისა „შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდას შორის ნორმატიული თანაფარდობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან გადასახდელთა მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებების შესახებ" (წარმოებს მატერიალური წახალისების ფონდის) შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდის სახსრების ხარჯზე.

რაც შეეხება ყოველწლიური ძირითადი და დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობას, რომლებიც შრომის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული (მავნე პირობებში მუშაობისათვის; სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებული მუშაკებისათვის, რომლებსაც აქვთ ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი; დაუნორმავი სამუშაო დღის მქონე მუშაკებისათვის;. უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირებისათვის; აგრეთვე სასწავლო შვებულებანი და სხვ). ამიერიდან სსრ კავშირის შვებულებათა კანონის მიღებამდე მისი რეგულირება განხორციელდება ცენტრალიზებული წესით. (საკდესი).



**„შემხვედრ** ელექტრონპოზიტრონულ კონებში ელემენტარული ნაწილაკების მასის პრეციზიული გაზომვისათვის" — ასეთია დასახელება თემისა, რისთვისაც ავტორთა ჯგუფს, მათ შორის ქართველ მეცნიერს ლერი ქურდაძეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

# აღიარება

ლერი ქურდაძე ბირთვული ფიზიკის დარგის ერთ-ერთი ცნობილი და ავტორიტეტული წარმომადგენელია. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იმ მეცნიერთა ჯგუფში მოხვდა, რომლის ფუნდამენტური გამოკვლევა ასეთი მაღალი ჯილდოთი აღინიშნა.

ლერი ქურდაძემ ფიზიკისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მოსწავლეობისას გამოავლინა და მთელი თავისი მოღვაწეობა ამ დარგს მიუძღვნა. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა და სწავლა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში განაგრძო. ქართველი ჭაბუკის ნიჭი და შრომისმოყვარეობა, ფიზიკის ლაბირინთებში წვდომის წადილი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აქაურ პედაგოგებს და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იქვე ასპირანტურაში დატოვეს. 1972 წელს ლერი ქურდაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მომდევნო პერიოდში ათობით სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. ახალგაზრდა მეცნიერის საინტერესო გამოკვლევებს საკავშირო თუ საერთაშორისო კონფერენცია-სიმპოზიუმებზე არაერთხელ მიუპყრია ყურადღება. ფაქტობრივად, ეს იყო სადოქტორო დისერტაციის აპრობაცია, რომელიც 1984 წელს წარმატებით დაგვირგვინდა — ქართველ სწავლულს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამით დამთავრდა ლ. ქურდაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთი დიდი ეტაპი, აქტიური მუშაობა ჩელიაბინსკის უნივერსიტეტში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის ციმბირის განყოფილებაში.

ბუნებრივია, თბილისელ კაცს გული საქართველოსკენ მოუწევდა. უკვე მეოთხე სასწავლო წელია ლერი ქურდაძე სათავეში უდგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრას და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. გულისხმიერი ადამიანი, ალღოიანი პედაგოგი და ნიჭიერი მეცნიერ-ორგანიზატორი — ასე ახასიათებენ მას თანამოსაქმეები, რომლებიც დღეს სამართლიანად ამაყობენ ლერი ქურდაძის ახალი გამარჯვებით.

**ჯემალ გვარამია.**

# იხილავენ საჯაროდ

**პარტიის** თერჯოლის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ თერჯოლაში ჩაატარეს რაიონის საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირ-სემინარი, სადაც მოწვეული იყვნენ აგრეთვე იმერეთის რეგიონის იუსტიციის დარგის მუშაკები.

თათბირ-სემინარზე განიხილეს საკითხები საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების პროექტები.

მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

რაიონის საზოგადოებრიობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კანონპროექტების განხილვაში, მათ წამოაყენეს საგულისხმო მოსაზრებები, რომლებსაც შეისწავლის იუსტიციის სამინისტრო და განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მხეიძემ.

**ჰენრი შარიქაძე,**
**„კომუნისტის" სპ. კორესპონდენტი.**

საქდესის იუწყება

# უცხოეთში

7 ნოემბერი

● აშშ

## პრეზიდენტი ემზადება

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თავის ქალაქგარე კემპ-დევიდის (მერილენდის შტატი) რეზიდენციაში შეხვდა სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული უშიშროების საბჭოს და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალი თანამდებობის თანამშრომლებს. იგი მთლიანად მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან მ. ს. გორბაჩოვთან 2-3 დეკემბერს დანიშნული არაოფიციალური შეხვედრისათვის მზადებას.

როგორც თეთრი სახლის პრეს-მდივანმა მარლინ ფიცუოტერმა განაცხადა, ეს იყო პირველი დაგეგმილ კონსულტაციათაგან, რომელზეც განიხილეს ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხები. მან დასძინა, რომ ჯ. ბუში ბრიფინგებისა და კონსულტაციების სერიას გამართავს აგრეთვე საბჭოთა კავშირის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ექსპერტებთან და სპეციალისტებთან, რათა „სრულიად გაეცნოს საბჭოთა კავშირის მოქმედებასა და ისტორიას".

პრეზიდენტი ბუში, თქვა პრეს-მდივანმა, „ძალიან კარგად არის მომზადებული" მ. ს. გორბაჩოვთან საუბრებისათვის, რასაც „მოწმობს მისი პირველივე შეხვედრა" თავის მრჩევლებთან და ექსპერტებთან. „ჩვენ ვიცით რა გვინდა ამ შეხვედრისაგან, ჩვენ ვიცით ჩვენი სათქმელი. ჩვენ გვსურს, რომ ეს კარგი საუბარი იყოს, რომლის დროს განმარტებული იქნება ორივე მხარის პოლიტიკა".

შეეხო რა მომავალ განხილვებს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ფიცუოტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბუში არ აპირებს „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემების სფეროში რაიმე ახალი ინიციატივების წამოყენებას".

● საბერძნეთი

## პარლამენტის არჩევნები

**ათენი.** კონსერვატიულმა პარტიამ „ახალმა დემოკრატიამ" ვერ მოიპოვა პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა — ასეთია საბერძნეთში 5 ნოემბერს გამართული პარლამენტის არჩევნების მთავარი შედეგი.

წინასწარი ოფიციალური მონაცემებით, კონსერვატორებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 46,3 პროცენტი და 300-დან 148 ადგილი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ამრიგად, „ახალმა პარტიამ" ვერ მიაღწია მიზანს და დამოუკიდებლად ვერ შექმნის ერთპარტიულ მთავრობას.

წლეულს პარლამენტის არჩევნები უკვე მეორეჯერ გაიმართა. ივნისში საბერძნეთის მმართველმა პარტიამ — სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში რვა წლის მანძილზე იყო, პირველობა დაუთმო „ახალ დემოკრატიას". მაგრამ მტკიცე მთავრობის შექმნა არ მოხერხდა და გადაწყდა მოეწყოთ განმეორებითი კენჭისყრა.

● კოლუმბია

## გამოაშკარავდა შეთქმულება

**ბოგოტა.** კოლუმბიის პოლიციამ გამოააშკარავა ნარკომაფიის შეთქმულება, რომელსაც განზრახული ჰქონდა მოეტაცებინა ქვეყნის პრეზიდენტის ვირხილიო ბარკო ვარგასის ერთ-ერთი ქალიშვილი, აგრეთვე დაეხოცა მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწენი და სამხედროები. „მედელინის კარტელის" — კოლუმბიის ნარკოტიკების მოვაჭრეთა უძლიერესი ორგანიზაციის მიერ ნიშანში ამოღებულ მსხვერპლთა შორის იყო აგრეთვე სენატორი ერნანდო დურან დუსანი, პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი.

ნარკოტიკებით მოვაჭრეთა დამქაშებს უნდა მოეკლათ უშიშროების სამსახურის დირექტორი გენერალი მიგელ მასუ მარკესი, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ბეწვზე გადაურჩა მკვლელობას, საიდუმლო პოლიციის დირექტორი პოლკოვნიკი ოსკარ პელაესი, აგრეთვე კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხილბერტო ვიეირა.

# ოქტომბრის გაკვეთილები

1917 წლის ოქტომბრის ბობოქარ დღეებს არასოდეს დაივიწყებს კაცობრიობა.

სწორედ ამ დღეს შებარბაცდა სამყარო, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე იმძლავრა მშრომელთა და ჩაგრულთა რევოლუციურმა აღტკინებამ, საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა დარდმა და ტკივილმა ხელის ერთი დაკვრით პირისაგან მიწისა აღგავა რუსეთის თვითმპყრობელობა.

პარტია და ლენინი იდგნენ ამ დიდი მსხვრევის სათავეებთან.

როგორც ვ. ა. კრიუჩკოვის მოხსენებაში აღინიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 72 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ოქტომბრით შობილი ახალი საზოგადოების გმირული და ამავე დროს დრამატული ბედი არავის არ სტოვებს გულგრილს. თავად ჩვენ გულმოდგინედ ვაკვირდებით ჩვენს წარსულს, ვცდილობთ გამოვიტანოთ ისტორიიდან დასკვნები, რომლებიც საჭიროა აწმყოსა და მომავლისათვის.

რთულზე რთული და ეკლიანი გამოდგა გზა პრაქტიკულად უცნობ სამყაროში. იყო გამარჯვებებიც და დამარცხებებიც, იმედიც და უსასოობაც, დალხინებაც და გაჭირვებაც.

ერთი მხრივ, აღმაფრენისა და ენერგიის უსაზღვრო მოზღვავება, ხოლო მეორე მხრივ, სიძნელეები თუ იმედის გაცრუება ახლდა თან სოფლად და ქალაქად მეურნეობის სრულიად უჩვეულო და არნახულ ყაიდაზე მოწყობას, ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნას, ზნეობრივ ემანსიპაციას.

დღევანდელი გადასახედიდან, ოცდამეერთე საუკუნის უშუალო მისადგომებიდან, ბუნებრივია, უკეთ ჩანს რას მივაღწიეთ, სად ვიყავით მართალი და სად — მტყუანი, რის გაკეთება ვერ შევძელით.

პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარე გარდაქმნის გაღრმავების კვალობაზე თანდათან ვრწმუნდებით, რომ ბევრგან გაჩნდა ბზარი დიად იდეებსა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების შედეგად სრულად ვერ გამოვიყენეთ სოციალიზმის მდიდარი შესაძლებლობანი, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების სფეროებში წარმოქმნილმა დეფორმაციებმა თანამიმდევრულად გააძლიერეს კრიზისული მოვლენები, ბუნებრივად აღმოვჩნდით ქვეყნის ძირფესვიანი განახლების აუცილებლობის წინაშე.

დღეს ნათელია, რომ მარტოოდენ იდეალებით და სურვილებით შორს ვერ წავალთ. ადამიანებს სჭირდებათ რეალური კეთილდღეობა, ნამდვილი თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა, თავიანთი სანუკვარი ოცნებებისა და მისწრაფებების ხორცშესხმა.

დღეს ჰაერივით გვჭირდება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებისაგან თავისუფალი, შინაგანი და მყარი კანონების საფუძველზე განვითარებადი ეკონომიკა. მეურნეობრიობის ყაირათიანი პრინციპების დამკვიდრება, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, შრომის საბოლოო შედეგით თითოეულის დაინტერესება, ეგრეთ წოდებული „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ამოძირკვა, რაზეც ახლა გაბედულად გაისმის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა თუ სხვა ფორუმების მაღალი ტრიბუნებიდან, ნათლად გამოხატავს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ერთხელ კიდევ ჩაგვაგონებს, რომ საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, მიწა მიიღოს გლეხმა, ფაბრიკა და ქარხანა — მუშამ, ქვეყნად დამკვიდრდეს შრომის სასუფეველი. აკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სწორედ მუშების შრომა, პოლიტიკური შეგნება და აქტიურობაა გარდაქმნის წარმატების გადამწყვეტი პირობა, სწორედ გლეხებზეა დამოკიდებული, მოიხსნება თუ არა სასურსათო პრობლემის სიმწვავე. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ამას ემატება მეურნეობის ტრადიციული დარგების გეგმაზომიერ და [illegible]

საკავშირო გაზეთების ფურცლებზე

# დაბრუნება

[illegible]

[illegible]

... მთავარი ის არის, რომ აქ ნაჩქარევად არაფერი კეთდება. პირიქით ყველაფერი ხარისხიანად, ლამაზად და სამუდამოდ არის გაკეთებული. ისინი ხომ თავისთვის აშენებენ!

ამ კოლმეურნეობას კიდევ ერთი დიდი პრობლემა ჰქონდა, თუმცა, ეს პრობლემა საერთოდ დამახასიათებელია სოფლებისათ- [illegible]

... დგა. აქ თავიანთი მეფუტკრეობის მეურნეობაც ექნებათ.

სასიამოვნო ცვლილებებია! დიდად მნიშვნელოვანი თითოეული ცალკეული ოჯახისთვისაც და მთელი ჩვენი სახელმწიფოსთვისაც.

ლ. ეფიმოვი.
„პრავდა", 1989 წ. 6. 11.

# დანაშაულობა სუსტთა წილხვედრია

**ქალაქში** დროული დღის წესრიგით წარიმართა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა განიხილა პარტიის XXVIII ყრილობისათვის მზადების, ამასთან დაკავშირებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და გავლენის გაძლიერების, კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების აქტუალური საკითხები.

ეს არ ჰგავდა ჩვეულებრივ პლენუმს, როცა ყველაფერი წინასწარ იხაზღვრებოდა, როცა ყველა გამოსვლის ტექსტი საქალაქო კომიტეტში ერთი კვირით ადრე იგზავნებოდა და ხელმძღვანელების შეხედულებით კორექტივები შეჰქონდათ, საერთო თარგზე გამოჭრილი ტექსტიდან გადახვევა კი „თავისუფალი აზრიც" გამოვლინებად ინათლებოდა.

საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გურამ ფიფიას გაკეთებულ მოხსენებაში აისახა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სურათი. ითქვა იმის შესახებაც, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ბიუროს წევრები, პასუხისმგებელი მუშაკები სისტემატურად ხვდებიან შრომით კოლექტივებს, მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს, ახალგაზრდებს, არაოფიციალურ გაერთიანებათა წევრებს, პარტიულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ აქტივს. ასეთ შეხვედრებზე, მომწიფებულ და პასუხგასაცემ საკითხებზე ორმხრივ დიალოგში მკაფიოდ იკვეთება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემები.

პლენუმზე მთელი პირდაპირობით ითქვა მიმდინარე წელს თბილისში, ქართლის რაიონებსა და აფხაზეთში მომხდარი უპრეცედენტო შემთხვევების შესახებ, რომლებმაც ყველა კეთილი ნების ადამიანის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია და მეტად დაძაბული პოლიტიკური ვითარება შექმნა როგორც ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში. ასეთ რთულ სიტუაციაში პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ვერ იჩენდნენ მოვლენების ღრმა შეფასებისა და შესაბამისი ტაქტიკური გზების გამონახვის უნარს.

ახლა უკვე ყველა თვალნათლივ ხედავს რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე მიღებული კანონები მიმართულია ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ. კანონპროექტებსა და დადგენილებებში ხაზგასმით არის მინიშნებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლის გაძლიერებაზე, მათი უფლებების ზრდაზე. აქედან გამომდინარე ქალაქმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს მოსახლეობის ცხოვრების დონესთან დაკავშირებული და სხვა სოციალური საკითხები, იმოქმედოს უფრო აქტიურად და თვითდაჯერებით, რადგან დაბნეულობა მხოლოდ სუსტთა წილხვედრია.

დღეს ზუგდიდი ხდება ერთ-ერთი რეგიონალური სამრეწველო ცენტრი რესპუბლიკაში. ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება 4100 მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც ბევრად სჭარბობს სხვა ქალაქების შესაბამის მაჩვენებელს. სამრეწველო საწარმოთა საშუალო წლიური სიმძლავრე ამჟამად 260 მილიონ მანეთს აღემატება. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მისი გადიდება 400 მილიონ მანეთამდე. მრეწველობა გახდა მრავალდარგოვანი და ამით შეიქმნა წანამძღვრები ქალაქის სამრეწველო კვანძის ჩამოყალიბებისათვის, შესაბამისი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ამასთან, ითქვა იმის შესახებ, რომ ქალაქში უნდა განვითარდეს მრეწველობის უპირატესად ის დარგები, რომლებიც სრულად შეესაბამება რეგიონის თავისებურებას, არ გაართულებს ეკოლოგიურ ვითარებას. არ უნდა გაგვიტაცოს დიდი მასშტაბის ინდუსტრიული საწარმოების მშენებლობამ, რომელთა ამოქმედებისა და ფუნქციონირებისათვის ადგილზე არ არის შესაბამისი მატერიალური და შრომითი რესურსები. ქალაქში არის ყველა საშუალება იმისათვის, რომ ინტენსიურად განვითარდეს მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები, გათანადროულდეს და გაფართოვდეს არსებული ობიექტები.

ქალაქის სახალხო მეურნეობამ წარმატებით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელი. ნახევარი წლის შედეგების მიხედვით სახელმწიფო პროგრამა შესრულებული იყო ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, გარდა მშენებლობისა, მაგრამ ივლისიდან შექმნილი დაძაბულობისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ცალკეულ დარგებში გეგმების შესრულება ჩაიშალა. სამწუხაროა ის, რომ პოზიციები დათმეს წამყვანმა საწარმოებმაც.

**ქალაქ ზუგდიდის კომუნისტებმა დაიწყეს აქტიური მზადება სკკპ XXVIII ყრილობის შესახვედრად**

მოსახლეობის ფართო მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფის და ფულადი მიმოქცევის გაუმჯობესების საქმეში ზუგდიდელები დიდ იმედებს ამყარებდნენ კოოპერატივებზე, ქალაქში ამჟამად რეგისტრირებულია 270 კოოპერატივი, აქედან ფუნქციონირებს მხოლოდ 83. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მათ მიერ წარმოებულია 6886 ათასი მანეთის საქონელი, რაც ქალაქის ერთ მცხოვრებზე საშუალო გაანგარიშებით 140 მანეთს აღემატება. მაგრამ ეს მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელია. კოოპერატივების მიერ გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების საერთო მოცულობიდან 85 პროცენტი მოდის უნაღდო ანგარიშსწორებაზე, ამან კი გაუმჯობესების ნაცვლად გაართულა ფულადი მიმოქცევა. ანალიზი მოწმობს, რომ კოოპერატივების გახსნის, მათი საქმიანობის მდგომარეობა სერიოზულ ყურადღებას და თანამედროვე პირობების პოზიციებიდან კვალიფიციურ ხელმძღვანელობას მოითხოვს. ზოგიერთი კოოპერატივი გადაქცეულია სპეკულაციის ბუდედ, განსაკუთრებით მომრავლდნენ საზოგადოებრივი კვების ობიექტები, რომლებიც მძიმე ტვირთად დააწვა საკოლმეურნეო ბაზარს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ისედაც არახელსაყრელ ფასებს ცეცხლი წაუკიდა.

კრიტიკას ვერ უძლებს საბინაო მშენებლობის ტემპი, ტრადიციულად მეორდება ობიექტების სერიოზული დეფექტებით ჩაბარების შემთხვევები. ამის მაგალითებია ბუკიას ქუჩაზე ჩაბარებული საუწყებო სახლი, მანქანათმშენებელი ქარხნის საერთო საცხოვრებელი, ფაიფურის ქარხნის კოოპერატიული სახლი და მრავალი სხვა, რაც მობინადრეთა სამართლიან უკმაყოფილებას და საჩივრებს იწვევს.

ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში კვლავ გამეფებულია ნეგატიური მოვლენებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების ტენდენციები. პლენუმის მონაწილეების აზრი ერთსულოვანია: ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ზუგდიდელების „აქილევსის ქუსლია" და თუ ამ დარგში მდგომარეობა უახლოეს პერიოდში არ გამოსწორდა, რაიმე სერიოზულ გარდაქმნებზე ლაპარაკი მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩება.

მართალია, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულობათა რიცხვმა დიდად იმატა, მაგრამ არც ზუგდიდშია უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ. 1989 წლის 9 თვის მონაცემებით, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დანაშაულობათა საერთო რაოდენობამ 25 ერთეულით იმატა, თუმცა ოფიციალური ციფრები სრულად ვერ ასახავენ ქალაქში არსებულ ოპერატიულ ვითარებას. მატულობს და ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს ისეთი სახის დანაშაულობები, როგორიცაა სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, ხულიგნობა, ავტოსაგზაო შემთხვევები. ქალაქის მშრომელთა აღშფოთებას იწვევს პირადი ქონების ქურდობის შემთხვევების მომრავლება.

ყოველივე ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკებს ხშირად არ ყოფნით ოპერატიულობა, მონდომება და თანამიმდევრულობა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ყოველთვის როდი იჩენენ სიფხიზლესა და კომპეტენტურობას, არაორდინალურ სიტუაციებში სწორი ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების უნარს. ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცეული პატიმრებისა და გატაცებული იარაღით ჩადენილ იქნა მკვლელობის, ძარცვის, ყაჩაღობის ფაქტები. განხორციელებული ღონისძიების მიუხედავად, დღეისათვის ამოღებულია მხოლოდ 30 გატაცებული საბრძოლო იარაღი, ისევ იმალება 37 პატიმარი. პლენუმზე ბევრი საყვედური გამოითქვა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების, სახალხო სასამართლოსა და პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკების მისამართით და ასეთი შეფასება მთლიანად ემთხვევა ქალაქის მოსახლეობაში დამკვიდრებულ შეხედულებებს.

კრიტიკა შეეხო ყველა რანგის მუშაკს დაწყებული საქალაქო კომიტეტის მდივნებიდან რიგითებით დამთავრებული. გამოითქვა მრავალი საყურადღებო შენიშვნა და წინადადება ხელმძღვანელი ორგანოების მისამართით.

როგორც მოხსენებაში, ასევე მოკამათეთა გამოსვლებში ხაზი გაესვა იმ ამოცანებს, რომელთა ხორცშესხმას უნდა მოხმარდეს პარტიის საქალაქო კომიტეტის, მისი ბიუროს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობით.

პლენუმის მიერ ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებასა და მისი რეალიზაციის გეგმაში პრაქტიკულად აისახა ყველა ის საკითხი, რომელთა განხორციელება აუცილებელია სამეურნეო წლის ნორმალურად დამთავრებისათვის, რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მზადებისათვის, რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის.

**ვაჟა ჩაჩიბაია,**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.



# ციტრუსის ბაღში

**თავისი პროდუქციით — მანდარინითა და ფეიჰოათი ამარაგებს მომხმარებელს გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც დაიწყო 1989 წლის მოსავლის კრეფა.**

**მეციტრუსეებს განზრახული აქვთ მოკრიფონ 2700 ტონა ციტრუსი — გეგმაზე 200 ტონით მეტი.**

**სურათებზე: მანდარინის კრეფა ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსის ბაღში.**

**საქინფორმის ფოტო.**

[illegible]

# იქნება სოფლად ახალსახლობა

**სტიქიური** უბედურებით დაზარალებულმა აჭარიდან გადმოსახლებულებმა 7 ნოემბრისათვის კარგი საჩუქარი მიიღეს. ახალქალაქის რაიონში გაერთიანება „საქაგრომშენმა" მათ გადასცა ორმოცდაათი სახლი. ამ სახლთაგან თითოეული ორსართულიანია, რომელშიც ორიდან ექვს ოთახამდეა და გაანგარიშებულია ერთი ოჯახისათვის. გაყვანილია წყალსადენი, გზები. ცალკეულ მიკრორაიონებში შენდება სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სასწავლო კომპლექსები. სულ ამ რაიონის სოფლებში კოთელიასა და ოკამში გაერთიანებას უნდა აეშენებინა 61 სახლი, მაგრამ გადასინჯა რა ეს დავალება, ვალდებულება იკისრა ააგოს ორჯერ მეტი — 120 სახლი. როგორ ართმევს თავს გაერთიანების კოლექტივი გეგმასა და ვალდებულებებს, რა კეთდება მშენებლობის პროცესების დაჩქარების, ასაგები ობიექტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის? ეს და სხვა საკითხები იყო გაფართოებული თათბირის ყურადღების ცენტრში, რომელიც გაიმართა „საქაგრომშენში". მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბონდო ჯიქია.

აღინიშნა, რომ გაერთიანების ისეთმა ტრესტებმა, როგორიცაა გურჯაანის №4, გორის №3, თბილისის №15, ზესტაფონის №14, ახალციხის №9 დიდი მუშაობა გასწიეს. ისინი წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადასცემენ 105 სახლს. „საქაგრომშენს" კარგ დახმარებას უწევენ „საქმონტაჟსპეცმშენი", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონი", ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონი, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ გადმოსახლებულთათვის სახლების მშენებლობაში.

გაცილებით მეტი უნდა აშენოს „საქაგრომშენმა" სვანეთიდან ჩამოსახლებულებისათვის — 1217 სახლიდან 910. დღეისათვის შესასახლებლად მზად არის 417 სახლი. ისინი იგება ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, სხვა რაიონების 23 სოფელში. მშენებლობის ტემპი თითქმის ყველგან საკმაოდ სწრაფია. თუმცა ყოველთვის როდი იყენებენ ყველა რეზერვს. არ არის აღმოფხვრილი ავრალები, იერიშობანა, სახსრების განიავება, მთელ რიგ ადგილებში საკმარისი არ არის მექანიკური აღჭურვილობა.

თათბირზე გაანალიზეს აგრეთვე განვლილი 10 თვის განმავლობაში „საქაგრომშენის" საქმიანობა. აღინიშნა, რომ თუმცა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა 101 პროცენტს მიაღწია, მაგრამ საიჯარო სამუშაოთა გეგმა არ შესრულებულა. სერიოზული ჩამორჩენაა გადამმუშავებელი მრეწველობის ობიექტების მშენებლობაში — 36 პროცენტი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების — 59,3 პროცენტი, კლუბებისა და კულტურის სახლების — 62,2 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაში — 71,4 პროცენტი და სხვ. მხოლოდ 67 პროცენტით შესრულდა სომხეთში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. თათბირმა დასახა სოფლის მშენებელთა მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. ისინი ეხება მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმძლავრეთა დეფიციტის ლიკვიდაციას, მშენინდუსტრიის საწარმოო ბაზის განვითარებას, სანარდო იჯარის ფართოდ დანერგვას, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თათბირის მონაწილეებმა დასახეს ამოცანა მიაღწიონ უზარმაზარი სამშენებლო კონვეიერის ყველა რგოლის ზუსტ ურთიერთმოქმედებასა და რიტმულობას და ამით მიმდინარე წლის გეგმის უთუო შესრულებას.

# ბედნიერი ყოფილიყოს!

**კარგად არის ცნობილი, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, თუ რაოდენ მასშტაბური და შრომატევადი სამუშაოები მიმდინარეობს სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დროული დაბინავებისათვის. ეს საკითხი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეუნელებელი ყურადღების საგანია. შემუშავებულია ორწლიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ახალი ბინებით უნდა დაკმაყოფილდეს ხუთი ათასი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი. მათთვის წლეულს უნდა აშენდეს 850 სახლი, 1200-მა ოჯახმა კი, სახელმწიფოს დახმარებით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში უნდა შეიძინოს სახლ-კარი.**

**უკვე დაზამთრდა. ბევრ რაიონში, განსაკუთრებით კი ახალქალაქში, სადაც ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მშენებლობა, საკმაოდ ცივა და კლიმატური პირობების გამო სამშენებლო სამუშაოების წარმოებაც ჭირს. ამას ამ ბოლო დროს ამიერკავკასიის რკინიგზაზე შექმნილი სერიოზული სიძნელეები და ამის გამო სხვადასხვა აუცილებელი მასალით მომარაგებაში შეფერხებებიც დაერთო.**

**ცხადია, ეს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს მშენებლებსაც და ხელმძღვანელ ორგანოებსაც. რა და როგორ კეთდება მათი გადაჭრისა და დასახული პროგრამის უთუო შესრულებისათვის? — აი, ძირითადად ამ საკითხზე სთხოვა „კომუნისტის" კორესპონდენტმა ინტერვიუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ოთარ ქვილითაიას.**

**ამ დღეებში სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ერთი ნაწილი ახალმოსახლეობას იზეიმებს**

**—ბატონო ოთარ, უწინარესად გვაინტერესებს რა მდგომარეობაა ამჟამად ახალმშენებლობებზე. რამდენად შევძელით დასახული პროგრამის ხორცშესხმა?**

— უნდა ითქვას, რომ, თუმცა პროგრამა ცალკეულ, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეტაპებად არ დაგვიყვია, ჩვენთვის იმთავითვე მაინც განსაკუთრებით საშური იყო ახალქალაქში ასაშენებელი სახლების დროული დამთავრება. აქ ზამთარი მკაცრია, სხვაგან კი, ქვემო ქართლსა თუ კახეთის რაიონებში, ნოემბერ-დეკემბერშიც შეიძლება მშენებლობა.

თუ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მდგომარეობა ცუდი არ არის. ამ დღეებში, კერძოდ, 11 ნოემბერს, ახალქალაქის რაიონის ხუთ სოფელში სტიქიით დაზარალებული აჭარლების ერთი ნაწილი შესახლდება 237 ახალ სახლში, რომელთა მშენებლობა წლეულს უნდა დაგვემთავრებინა. სხვა რაიონებში სამშენებლო სამუშაოები, როგორც აღვნიშნე, გაგრძელდება. საერთოდ კი ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ წლეულს დამთავრდეს პროგრამით გათვალისწინებული რვაასორმოცდაათივე ახალი სახლის მშენებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამას გარდა წლეულსვე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სახელმწიფოს დახმარებით სახლ-კარი უნდა შეეძინა 1200 ოჯახს. ამ მხრივაც არ არის საქმე ურიგოდ: ჩვენი ვარაუდით წლის ბოლომდე ნაყიდ სახლებში შესახლდება ორი ათასამდე ოჯახი.

**— რა სიძნელეები და პრობლემებია ამჟამად მშენებლობებზე და რა კეთდება მათი გადაჭრისათვის?**

— ასეთ სერიოზულ საქმეს მუდამ ახლავს სიძნელეები, მაგრამ ამ ბოლო ხანს მაინც განსაკუთრებით გაჭირდა. ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი საწვავის მწვავე დეფიციტი, აგრეთვე სხვადასხვა სამშენი მასალის ნაკლებობა, რაც ამიერკავკასიის რკინიგზაზე წამოჭრილი პრობლემების შედეგიცაა. ამან საგრძნობლად შეგვაფერხა, მაგრამ, ასე თუ ისე, შევძელით მდგომარეობის გაწონასწორება: საწვავის, ცემენტის, რკინაბეტონის კონსტრუქციების, ინერტული სამშენი მასალის და სხვათა ნაკლებობას მნიშვნელოვანი დაბრკოლება არ გამოუწვევია. მაგრამ ხე-ტყის მასალების დეფიციტმა კი ძალიან დიდი სიძნელეები შეგვიქმნა, რადგან, ჯერ ერთი, რესპუბლიკისათვის საჭირო ამ მასალების დაახლოებით 90 პროცენტი გარედან შემოგვაქვს, და მეორეც, ამ ბოლო 2-3 თვის მანძილზე არც ერთი კუბური მეტრი ეს მასალა არ მიგვიღია. სამი ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, რომელიც გვქონდა, ახალმშენებლობებზე გამოვიყენეთ. ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ კიდევ როგორმე ვიშოვოთ დაახლოებით ხუთი ათასი კუბური მეტრი. სხვაგვარად შეუძლებელია კედლებამოყვანილი სახლების გადახურვა, კარ-ფანჯრების ჩასმა, იატაკის დაგება. ამის გამოც არის, რომ იმ სახლების ნაწილს, რომლებშიც ამ დღეებში ახალმოსახლეები უნდა შევასახლოთ, გარკვეული ხარვეზები აქვთ. თუმცა თანდათან გამოვასწორებთ.

**— ცხადია, ახალმოსახლეთა სიხარულს ნებისმიერი ქართველი იზიარებს. მათთვის მთავარი — საკუთარი ჭერის პრობლემა უკვე გადაჭრილია, მაგრამ ახალმოსახლეობა ხომ მარტო კედლები არ არის? ოჯახს რამდენი რამ სჭირდება?!..**

— ესეც გათვალისწინებულია. ჯერ ერთი, სტიქიით დაზარალებულთ ბევრი საოჯახო ნივთი თუ საქონელი ჩამოუტანეს და ახლაც ჩამოაქვთ რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების კოლექტივებს. ამასთანავე ახალმოსახლეთათვის 11 ნოემბერს აჭარის ასს რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩამოიტანენ 300 ათასი მანეთის ავეჯს, ჯამ-ჭურჭელსა თუ სხვა ნივთებს, რომლებიც აუცილებელია ოჯახისათვის. ეს ამ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა საჩუქარია. მიღებულია ზომები ახალმოსახლეთა საწვავ-სათბობი მასალებითა და ღუმლებით უზრუნველყოფისათვისაც. ასე რომ, სტიქიით დაზარალებულებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და თანამოძმეთა საქმიანი მხარდაჭერა არ დაჰკლებიათ და არც დააკლდებათ...

მაშ ასე: 11 ნოემბერს სტიქიით დაზარალებული აჭარლების ათობით ოჯახი ახალქალაქის რაიონში ახალმოსახლეობას იზეიმებს. ბედნიერი ყოფილიყოს ამ ოდინდელ ქართულ მიწა-წყალზე მათი დამკვიდრება!

ესაუბრა
**რუსლან რუსია.**

# მიღებულია დიდმნიშვნელოვანი კანონები

**ვილნიუსი.** (საქდესის კორ.). 4 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელიც პარასკევს გაიხსნა.

სესიამ მიიღო მოქალაქეობის კანონი, რომლის თანახმად რესპუბლიკის მოქალაქე შეიძლება იყოს ყველა, ვინც ამ კანონის ძალამოსილად გამოცხადების დღისათვის მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე და აქვს აქ მუდმივი სამუშაო ადგილი ან არსებობის მუდმივი ლეგალური წყარო. განსაზღვრულია ლიტვის სსრ მოქალაქეობის მიღების პირობები ნატურალიზაციის გზით კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზეც.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ლიტვის სსრ რეფერენდუმის შესახებ კანონის მიღებას. რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებათა შესაბამისად. რეფერენდუმის გზით გადაწყდება მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. რეფერენდუმი ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ მას ხმას მისცემს ლიტვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სულ ცოტა ნახევარი ან არანაკლებ რესპუბლიკის 300 ათასი მოქალაქისა, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ.

ლიტვის უმაღლესი საბჭო შეუდგა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტის განხილვას, რომელიც განზრახულია მიიღონ შემდეგ სესიაზე.

სესიამ ცვლილებები შეიტანა ლიტვის სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში. უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება შეაჩეროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთელი რიგი საკავშირო დადგენილებების მოქმედება, რომლებიც ზოგიერთი კატეგორიის პირებს შეღავათს ანიჭებენ ბინით უზრუნველყოფის მხრივ. განიხილეს ზოგიერთი სხვა საკითხი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. მ. ბრაზაუსკასი.

# როგორ ვმართოთ ხარისხი

**მოსკოვში** 3-4 ნოემბერს მიმდინარეობდა საკავშირო თათბირი, რომელზეც ათობით წინადადება გამოითქვა მრეწველობასა და მშენებლობაში პროდუქციის ხარისხის მართვის პრაქტიკის სრულყოფის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრები და მინისტრთა მოადგილეები, საწარმოების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, სახელმწიფო მიღების ხელმძღვანელები, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაკები და სპეციალისტები. მათ განიხილეს მოხსენება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ხარისხის მართვაში სახსტანდარტის როლის ასამაღლებლად სახალხო მეურნეობის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის პროდუქციის ხარისხის მართვისა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. სიჩოვმა.

თათბირის მონაწილეებმა სახალხო მეურნეობის მუშაკებს მოუწოდეს გააქტიურონ მუშაობა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სილაევი.

(საქდესის კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცენზია

# ძალა რწმენისა

„...დაო და დედაო, ღვთისმშობლის დობილო, ვართ შენზე დანდობილი და შენის შენდობით — არ გადავშენდებით"!

გრიგოლ რობაქიძის ეს სულის შემძრავი სტრიქონები — წმინდა ნინოსადმი მიპყრობილი პოეტური საგალობელი ლაიტმოტივად გასდევს მთელ წარმოდგენას და დასკვნით მრავალწერტილსაც სვამს. გამაოგნებელი სიმშვიდით წარმოთქვამს მას ოთარ მეღვინეთუხუცესი. მხოლოდ დამთავრებამდე, — განსხვავებული, მახვილდასმული ინტონირებით ნათქვამს „და შენის შენდობით" იდუმალ პაუზას მოაყოლებს და ოდნავი, იმედნარევი გაღიმების შემდეგ იტყვის: „არ გადავშენდებით"! მის ირგვლივ კი არც თუ სიმშვიდე სუფევს... ქართველი კაცის უძლეველ სიდარბაისლეს წარმოგვიჩენს ო. მეღვინეთუხუცესის მიერ დიდებულად, ვიტყოდი — ეტალონური ჰარმონიულობით განსახიერებული თავადი გიორგი — ამ დრამატული მისტერიის მთავარი გმირი, რწმენის ძალით გამსჭვალული განსაცვიფრებელ მწერლურ-ფილოსოფიურ მთლიანობაში ბოლომდე უკომპრომისობა შეინარჩუნა!

ფრიად ნიშანდობლივია: გრიგოლ რობაქიძის ტოლძალოვანი თანამედროვე — კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი დროის უკიდურესი სიმძაფრის პოლიტიკური მოვლენების გამოხატვას თანამედროვე და თვით ისტორიულ პანორამებში მახვილგონივრული ელასტიურობით, თავისი ბობოქარი ტემპერამენტის შეუფერხებლად, უნიკალური მეტაფორულ-ალეგორიული ფორმებით აღწევდა (აქ შედარებას იმიტომ მივმართე, რომ ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ეს ორი გიგანტი დიდი მასშტაბებით შეებნენ მსოფლიო ლიტერატურული და ფილოსოფიური აზროვნების მეტამორფოზებისა და მოდერნიზების პროცესებს და ეს ორგანულად შეადუღაბეს ისტორიულად გამთლიანებულ ეროვნულ ფესვებთან და სიღრმეებთან — ორივემ ძალზე თავისებურად!)

„გრაალის მცველთა" რეალორავის სახით თუ უშუალო შეჯახებების ვითარებაში, ეს პოლიტიკური ელიტაა — უფროსებიც და რიგითნიც, რბევის ორგანიზატორებიც და უშუალო შემსრულებლებიც. სპექტაკლის შემაძრწუნებელ გარემოში მუდმივი სცენური პოლიფონია ბორგავს და მასში შემავალ „ხმათა" ჯგუფებს, უმთავრესად ორს, ნაირგვარი — ახლო თუ შორი მანძილით აქვთ „დამყარებული" ამ მხარეთაგან ორმხრივ, უფრო კი ცალმხრივ ხილული თუ უხილავი ურთიერთობანი. ყოველივე ამას „ფხიზლად" დარაჯობს ავანსცენაზე მოქმედი ორი ვეებერთელა რკინის კარი — დროის რისხვა! რეჟისორი დავით ანდღულაძე (ამავე დროს ინსცენირების თანაავტორი ნაირა გელაშვილთან ერთად), მხატვართა სამეულის — ოლეგ ქოჩაკიძის, ალექსანდრე სლოვინსკისა და იური ჩიკვაიძის მიერ შექმნილ ფრიად ეფექტურ სცენურ სივრცეში მკაფიო რაციონალობით, კატაკლიზმების არენის სრული ფლობით, რიტმის ელასტიური ცვალებადობით, ალ-

სულიერი წონასწორობა და ბოლომდე გამძლე უჩუმარი მეტ- [illegible]

გრ. რობაქიძის ზნეობრივი იდეალებიც უწინარესად ამ გმირშია გამოხატული. სახელდობრ, მისი სახით ამეტყველდა გრაალის მცველთა ლეგენდის (რიჰარდ ვაგნერმა რომ „პარსიფალი" მიუძღვნა) ქართული — რობაქიძისეული ვერსია, რომ გრაალის თასი წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის მიერ ხელახლად გამოსხმული მტევნების მზიური დანაწურითაა აღსავსე, იგი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში — საქართველოში საიდუმლოდ ინახება და ვიდრე ეს რწმენა არ გატეხილა — ერიც არ გატყდება! გრ. რობაქიძის მწერლისა და ფილოსოფოსის ნათელხილვითა და გამაფრთხილებელი მომნუსხველობით, მისი ეს ქმნილება საოცრად ეხმიანება ჩვენს თავზე ამ ბოლო ჟამს დატრიალებულ ტრაგედიას.

დემოკრატიული მეტამორფოზების დაძრული პროცესის უდიდესი მონაპოვართაგანია საქართველოსთვის გრ. რობაქიძის დაბრუნება — აღდგომა ერის ცხოვრებაში. ვიტყვით ხოლმე: რა ამაოდ იყო იგი ამდენხანს დაკარგული მშობელი ხალხისთვის! მაგრამ საკვირველებაც ეს არის, რომ მან — მკვეთრად გამოხატული ფილოსოფიური აზროვნების მწერალმა — პოეტმა და ბელეტრისტმა, დრამატურგმა და სრულიად უნიკალურმა ესეისტმა მშობლიური მიწისაგან მოწყვეტის შემდეგაც, თვით უკიდურესი პოლიტიკური უკუღმართობის ვითარებაში მოქცეულმა, მოახერხა ზნეობრივი თვითიზოლაცია და თავის



„გრაალის მცველნი" — მარჯანიშვილელთა სცენაზე

ბა — ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედიის ჟამია — 1924 წლის აჯანყება. სცენაზე ფიგურირებს ქართული ინტელიგენციის საოცრად მრავალმხრივი წარმომადგენლობა, მათ შორის ავტორის მიერ შეცვლილი სახელებით ნაგულისხმევი რეალური პერსონაჟებიც, — ეროვნული კულტურის, სახელდობრ, მწერლობისა და თეატრის მამოძრავებელი ძალები, სხვანიც მამულისათვის თავდადებული გმირები — სხვადასხვა თაობის თავადაზნაურთა თუ გლეხკაცობის წარმომადგენლები, თავგანწირვისათვის შემართული ახალგაზრდობა. ერის განსაცდელი აერთიანებს მათ, თუმცა ერთნაირ გზას არ ადგანან, საბედისწერო ჟამს — ცხარედაც პაექრობენ... ისინი ჟამთა სიავის უმძიმესი სიტუაციების, მათ შორის — რბევის ჯოჯოხეთური მანქანის უშუალო მხილველი არიან, — ზოგნი — თავადაც შუა ცეცხლში ხვდებიან.

მათ მეორე მხარე უპირისპირდება — მას დამსჯელი ფუნქციები აკისრია. აქაც მოქმედებენ რეალურად არსებული პერსონაჟები, — გატრუნული ურჩხულის, შორიახლოდან მზვერავის... ზევებისა და დეპრესიების წარმოსახვით მართავს პარალელურ მოქმედებებს.

აღვნიშნავ ამგვარი პარალელური მოქმედების ერთ ცენტრალურ სცენათაგანს. სიღრმეში დარბაისელთა სუფრაა, — იგი თავადი გიორგის ოჯახშია გაშლილი, იმერეთის ერთ, დიდი ტრადიციების მქონე სოფელში. სხვადასხვა თაობის ვაჟკაცნი შემოსხდომიან მას და შემართებით შედგომიან უძველეს ეროვნულ ადათ-წესს. წარმართავს მას მუდამ სიკეთით მომღიმარე, ახოვანი დარბაისელი მამია ოდიშელი (პროტოტიპი — შალვა დადიანი) — ჩინებულად განასახიერებს მას გიორგი გელოვანი — სხივმოსილი კოლორიტულობით, მჭევრმეტყველური სიდინჯით და კეთილი იუმორით, თან დიდებულად მღერის და აქაც თავკაცობს, ამასთან — ხუმრობით გათამაშებულ მომენტებსაც იმერული „ვადილას" მახვილგონივრული მოქცევებით „რიტუალურ" ტონს აძლევს... აქ მარტოოდენ მოლხენა როდია: ეს ერის რჩეულთა რიტუალური სუფრაა, სადაც ყოველივე მაღალი რწმენის გამოსახულებაა. სადღეგრძელოები, ცეკვა-სიმღერა, ლაღი იუმორი, რაინდული ქცევები თუ ქალის კულტი — დიდი ტრადიციების გამოვლინებას ემსახურება და ერისადმი თავდადების ფიცითაა გაერთიანებული. ეს კი საბედისწერო ჟამს, საქართველოს მომდგარი ტრაგედიის წინ ხდება...

ამის გადმოღმა კი, მუდმივ ჩასაფრებულ რკინის კარებთან ფხიზლობენ უშიშროების ორგანოების წინამძღოლი ველსკი (ავტორის მიერ კონკრეტულ პირად არ არის ნაგულისხმევი) და მაშინდელი ერთ-ერთი მეთაური, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, პენსნეიანი შავდია (გრ. რობაქიძე მასში კონკრეტულ პიროვნებას გულისხმობს, რომელიც არცთუ შორეულ მომავალში ქვეყანას შეაზანზარებს, არც იმჟერად გადარჩენილ პოლიტიკურ მტრებს დაივიწყებს და ადრინდელ — ამ ნაწარმოების სამოქმედო დროის მოყვრებსაც სათითაოდ „მოუვლის"). ისინი, ხელქვეითურთ, ყოველგვარი მანძილიდან ზვერავენ ამ „საეჭვო საკრებულოს" ყოველ ნაბიჯს, პროვოცირების ნალმებსაც აწყობენ და დასარბევ მომენტს ელოდებიან... რეჟისორი ამ მომენტის სცენურ პოლიფონიაში მახვილგონივრულად ამყარებს სივრცობრივ კავშირს: როდესაც რიტუალური სუფრა ქართული ცეკვის ექსტაზში შედის, „გადმოღმა" მხარეს, რკინის კარებთან, შავდიაში „ქართული გენებიც" ამოძრავდება და მკვეთრი მხარგაშლით მშობლიურ ცეკვას გაიხსენებს, მისი შემყურე ველსკი კი თავის „ჩეჩოტკას" ჩამობუქნავს და ასე გადიან ისინი სცენიდან...

ველსკის მოპირდაპირე მხარის ფიზიკურ დარბევას როდი სურს დასჯერდეს: თავის „ფსიქოლოგიური ზემოქმედების" ძალაში თავდაჯერებული და ამით მოკეკლუცე ჩეკისტი მთავარ მიზნათ ისახავს მორალურად დაამარცხოს და გააქარწყლოს ქართველ ხალხში წმინდა თასის რწმენა და ეს მოახდინოს მისი მცველის გიორგის გატეხით, — მისი პირით, მაგრამ სწორედ ამ ექსპერიმენტში თვითონ მარცხდება. ველსკის ეს მოქმედება კი აცოფებს დამსჯელ რეალისტებს — მაქსიმალურად ფხიზელ და ოპერატიულ შავდიას და ამ დამსჯელთა „მთლად უფროსს" — ყოველგვარი „ჭკუის ჩვენებისა" და „ფილოსოფოსობის" (ყოველ შემთხვევაში მას ასე ჰგონია!) ვერ შემწყნარებელ ... მის გამო გალიზიანებულ ს. ო.-ს. უკანასკნელი აკი იგინება კიდეც უკიდურესი უცენზურობით და ეს მოცემული სიტუაციისათვის იმდენად ორგანულია, რომ მაყურებელი მისთვის ეგზომ უჩვეულო დარღვევას პროტესტის ნაცვლად ერთობ გამხიარულებული ეგებება! მეტიც, დავით დვალიშვილი ამ ეპიზოდურ როლს ისეთი სატირული ოსტატობით, თითქმის ახლახანს — ჩვენს თვალწინ გავლილი ამბებიდან შენიშნულ ისეთ „ყოფით" შტრიხს გაითამაშებს, რომ აუდიტორიის ეს ერთსულოვანი რეაქცია სრულიად ბუნებრივია (უფრო გროტესკული გადახრით ასრულებს ამ როლს ალექსი გეწაძე).

დახვეწილი ოსტატობით, „მეფისტოფელური", შემპარავი შტრიხების ფილიგრანული თამაშით განასახიერებს ველსკის როლს რევაზ ჩხიკვიშვილი, რომელიც ამ უდიდესი აქტიორული ტრადიციების თეატრის მნიშვნელოვან ძალად ყალიბდება. აქტიორული ხელოვნების თვალსაჩინო მომენტია ველსკის მიერ თავადი გიორგის დაკითხვის ფრიად პრინციპული სცენა. მძაფრად წარმოაჩენს შავდიას იერსახეს ვაჟა გელაშვილი, რომლის ტექსტის სიძუნწეს ერთვის უსიტყვო მოქმედების ერთობ ნაირფეროვანი დინამიკა. მას თითქმის განუწყვეტლივ ყველა სიტუაციაში ვხედავთ: ხალხში მდუმარედ შერეულს და ვერაგულად ჩასაფრებულს, ოპერაციების ყოვლისშემძლე ორგანიზატორს და რისხვის მფრქვეველს, საკუთარი თავისათვის ხელსაყრელი ნახტომების მზადყოფნაში არცთუ ნიჭიერებამოკლებულს...

საერთოდ, სპექტაკლში აქტიორული ელვარებით არაერთი ხასიათი თუ ტიპაჟია გამოკვეთილი, ამასთან — უსიტყვო მოქმედებითაც. დიდ სცენურ სივრცეში მათი დინამიკური ურთიერთმიმართება, დროის ნაირგვარ, პოლიფონიურ პანორამას რომ ქმნის სისხლსავსე ნიჭიერებითა და ოსტატობითაა ორგანიზებული რეჟისორ დ. ანდღულაძის მიერ. ამ ვრცელ პანორამაში უხვად გვხვდებიან საქართველოს ღირსეული შვილები — მამოძრავებელი ძალები. აქ ის პირნიც არიან, ეროვნული საქმისათვის მშვიდობიანი თანამშრომლობის გზებს გულწრფელად რომ ეძებენ; მათ შორის არიან მაშინ ახალგაზრდა „ცისფერყანწელები" ავალა (პროტოტიპი — ტიციან ტაბიძე, მსახიობი ზაზა წაქაძე) და ოდილიანი (პროტოტიპი პაოლო იაშვილი, მსახიობი ზურაბ სტურუა), — ისინი თავადის სუფრასაც უსხედან და ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელის მიმართაც თითქოსდა სიკეთის იმედით არიან განწყობილი... ამ გარემოშივე ტრიალებენ დიდი თეატრალური მოღვაწენი: რეჟისორი მარჯანი (კოტე მარჯანიშვილი — მსახიობი მალხაზ გორგილაძე) და ქართული თეატრის რევოლუციაში მისი უახლოესი თანამებრძოლი მსახიობები — უშანგ (უშანგი ჩხეიძე, ასახიერებს შოთა მშვენიერაძე) და ვასა (აკაკი ვასაძე — თენგიზ პაპიძე) ისინი პოლიტიკური ბრძოლებისაგან შორს არიან, მაგრამ დამუხტული არიან განუხრელი მისწრაფებით — მათი თეატრი დროის მაჯისცემას რომ ჩაწვდეს და ეპოქის მძვინვარების შუა ცეცხლში დიდ ეროვნულ თეატრს ქმნიან...

წარმოდგენის ლირიკული მშვენებაა თავადი გიორგის ძის ქვრივის, ახალგაზრდა შვედი მანდილოსნის ნორინას იერსახე, მომხიბვლელად განსახიერებული გრიბოედოვის თეატრიდან საგანგებოდ მოწვეული ლუდმილა მღებრიშვილის მიერ. საოცარია: ოდნავ არაქართული აქცენტი კიდევ უფრო ამახვილებს საქართველოსადმი ერთგულებაში მის გულწრფელობას. ტრაგედიის ოპტიმისტურ ძალას აგვირგვინებს გია ბურჯანაძის მიერ წრფელი მგზნებარებითა და სულიერი სინათლით განსახიერებული ახალგაზრდა ლევან ორბელი, თავადი გიორგის პიროვნებით მონუსხული და მის ზნეობრივ ზემოქმედებაში მოქცეული, იგი ღირსეულად მიიღებს, მისგან წმინდა თასის მცველის მემკვიდრეობას. მას აჯანყება „სიგიჟედ" მიაჩნია და თუმცა მის განწირულებაში სრულიად დარწმუნებულია, ბოლომდე თავის ხალხთანაა და ციხე-სიმაგრის აფეთქებისას, სადაც დამსჯელებს ლეგენდური თასი ეგულებათ, თავგანწირვისათვის მარტო იტოვებს თავს და საიდუმლოს ბოლომდე შენახვით — რწმენის გადამრჩენის შარავანდედს იდგამს. აქ საშუალება არა გვაქვს კოლორიტული ეპიზოდური როლების შემსრულებლები ყველა თავიანთი ღირსებით მოვიხსენიოთ, მაგრამ არ შეიძლება არ გამოიყოს ალექსანდრე იოსელიანის მიერ განსახიერებული მფრინავი სალარა (სინამდვილეში — სალარაძე), რომელიც ფანატიკურად შემართულია თავგანწირვისათვის.

ნაირა გელაშვილის საუცხოო თარგმანის განსაკუთრებული ღირსებაა, რომ იგი არ დაადგა სტილიზაციის გზას და აიცდინა ხელოვნურობის საფრთხე.

„გრაალის მცველნი" მაყურებელმა თავიდანვე მიიღო, როგორც ჭეშმარიტად დიდი სახალხო წარმოდგენა. მან უკვე დაიმკვიდრა საფუძვლიანი სცენური ცხოვრება.

ანტონ ფუღუკიძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.



ანსამბლის სოლისტი.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

**მუშაობა დაამთავრა ჟიურიმ, რომელმაც განიხილა ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის პროექტები. ადრე გამოცხადებული კონკურსის მიხედვით მის თავმჯდომარეს, საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეს ნელი გურგენიძეს კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა.**

**— რა უძღოდა წინ ჟიურის მუშაობას?**

— „ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავების შესახებ" რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალური განკარგულებით ჯერ კიდევ მაისში სამინისტრომ გამოყო სახსრები და დადო ხუთი ხელშეკრულება ავტორთა კოლექტივებთან. გარდა ამისა უკვე შვიდმა კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. მეტი ობიექტურობისათვის სატიტულო ფურცლებზე არ იყო აღნიშნული გვარები, არც ავტორთა რანგები და თანამდებობანი. ნამუშევრებს განიხილავდნენ დევიზებით. კონკურსის ყველა მონაწილეს ობიექტურად თანაბარი პირობები ჰქონდა. მათ მიაწოდეს ცნობები საქართველოს მდიდარი პედაგოგიური ისტორიის შესახებ, რომლის სათავეები კოლხეთის უმაღლეს რიტორიკის სკოლაში, გელათისა და იყალთოს აკადემიებში, მრავალ სამონასტრო და საერთო სკოლაში უნდა ვეძიოთ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად ეროვნული სკოლის შექმნის ახლანდელი ცდა პირველი არ არის. მას საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა. სამწუხაროდ, გარკვეული პერიოდის კონიუნქტურულმა მოსაზრებებმა, განათლების ტექნოკრატიულმა ხასიათმა, სავალდებულო საყოველთაო საშუალო სწავლების ატმოსფერომ სკოლა მართლაც საშუალოდ აქცია, განდევნა იქიდან შემოქმედების, ჰუმანიზმის სულისკვეთება, ეროვნული ტრადიციები. კონკურსის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ შეესწავლათ ცალკეული რესპუბლიკების ეროვნული სკოლების კონცეფციების პროექტებიც. საზღვარგარეთის სკოლების გამოცდილების განმაზოგადებელი ნამუშევრები.

**— ვინ განიხილავდა პროექტებს?**

— პროექტები უაღრესად ფართოდ და საფუძვლიანად განიხილეს ტრადიციულ აგვისტო-სექტემბრის პედსაბჭოებზე, მაგრამ განსაკუთრებული როლი დაეკისრა სპეციალისტთა საექსპერტო ჯგუფს, რომელმაც დეტალურად შეისწავლა თითოეული შრომა და დეტალური დასკვნაც მისცა.

შემდეგი ეტაპი იყო ჩვენი ჟიური, რომელშიც შევიდნენ სახალხო განათლების ორგანოების და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. პედაგოგიკის მეცნიერების, კულტურული დაწესებულებების, პრესის და სკოლების მუშაკები. ერთ რამეს ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ მართლაც დიდ საქმეში ჩაბმული არიან შემოქმედი ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ სკოლა და გული შესტკივათ მისთვის.

**— როგორია ჟიურის დასკვნები?**

— ჟიურიმ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტებიდან ყურადღებას ყოველი მათგანი იმსახურებს, მაგრამ არც ერთი ნამუშევარი არ არის სრულყოფილი, სრულად არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. კონკურსის შედეგებით პირველი პრემია არავის არ ერგო. ორი მეორე პრემია ათას-ათასი მანეთი მიენიჭათ ავტორთა კოლექტივებს, რომლებიც მუშაობდნენ დევიზით „რენესანსი" (თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი მამუკა ნაცვლაძე, საგარეჯოს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე ნუგზარ ჭანტურია, თბილისის №1 საექსპერიმენტო სკოლის პედაგოგი მაია ინასარიძე) და „მთაწმინდა" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრების გამგეები რისმაგ გორდეზიანი და ჰამლეტ მელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი ლევან ბერძენიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე იური მამალაძე). მესამე პრემია — 500 მანეთი მიენიჭა ავტორთა კოლექტივს „აღმაშენებელს". იგი შეადგინეს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაკებმა რექტორის, პროფესორ ვლადიმერ გაგუას მეთაურობით.

**— როგორია წარმოდგენილი პროექტების დამახასიათებელი ნიშან-თვისება?**

— თუ ერთ-ერთი ავტორის სიტყვებს მოვიყვან, მათი მიზანი ის არის, რომ ყმაწვილ თაობას ჩამოუყალიბონ ქართული ეროვნული თვითშეგნება, აღზარდონ პატრიოტული სულისკვეთებით, რაც უნდა გამოიხატოს საქართველოს ინტერესების დაცვით. სკოლის მიზანია მოსწავლეები აღზარდოს ზნეობრივ, კულტურულ, ერთი სიტყვით, ჰუმანურ იდეალებზე.

**— როგორია პროექტების შემდგომი ბედი?**

— უნდა ითქვას, რომ ჟიურის მუშაობა ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის შექმნის მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია. მუშაობა გრძელდება. შეიქმნა პროექტის ერთიანი ვარიანტის შემუშავების სარედაქციო ჯგუფი. საფუძვლად აიღებენ არა მარტო კონკურსში გამარჯვებულ ნამუშევრებს, არამედ დანარჩენებსაც — თითოეული მათგანი ხომ საინტერესო, მნიშვნელოვან წინადადებებს შეიცავს. თუმცა, ჟიურიმ წახალისების ღონისძიებები პრაქტიკულად კონკურსის ყველა მონაწილისათვის განსაზღვრა. გათვალისწინებული იქნება პედაგოგთა კონფერენციების შენიშვნებიც. საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო აგრეთვე მრავალი წერილი, მათი ავტორები, ყველა პრობლემის სრულად წვდომის პრეტენზიებს არ აცხადებდნენ, მაგრამ გვიზიარებდნენ იდეებს, ზოგჯერ საკმაოდ საინტერესო განათლების ცალკეული მიმართულებით. ყველა ეს შენიშვნა გათვალისწინებული, განხილული იქნება და შეავსებენ პროექტის ახალ ვარიანტს, რომელიც გამოქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მხოლოდ დახვეწის და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების შემდეგ წარვადგენთ მას დასამტკიცებლად. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს, ვთქვათ, მომავალი წლის სექტემბერში განვახორციელებთ დასახულ ამოცანებს. წინ რთული და გრძელი გზა გვიძევს დაკარგული ტრადიციების აღორძინებისა და ახალი ჩვევების შეძენისათვის. უნდა შევიმუშაოთ გეგმა, სასწავლო პროგრამები, ორიგინალური სახელმძღვანელოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურა, ერთი სიტყვით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მთელი სისტემის საორგანიზაციო სტრუქტურა.

# საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით

## სკოლა: ნაბიჯი წინ

 რ. შელია,
საქინფორმის კორ.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 ნოემბერს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

# მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში

**ბათუმი. (საქ. კორ.).** საქართველოს საზღვაო სანაოსნო ჩვენი ქვეყნის მონათესავე საწარმოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. იგი ორ ათეულ წელს ითვლის. მიუხედავად ამისა, კავშირის მასშტაბით იგი ერთ-ერთი მოწინავეა. ასე, მაგალითად, სანაოსნომ 1987 და 1988 წლებში ზედიზედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყოველ კვარტალში სანაოსნოს სოციალისტურ შეჯიბრებაში იმარჯვებს სანაოსნოს რამდენიმე ხომალდი.

ახლა სანაოსნო 53 ხომალდს ითვლის. ისინი 55 ქვეყნის 130 ნავსადგურში უშვებენ ღუზას. ფართოვდება კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან.

იანვრიდან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურები სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ და საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს.

# დიმიტრი ყიფიანის სახელობისა...

**ხაშური. („კომუნისტის" საქ. კორ.).** პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი, ასეთად იცნობს ჩვენი ხალხი დიმიტრი ყიფიანს. ერის ღირსეული შვილი აკაკიმ მშვენიერი ლექსით უკვდავყო.

წლეულს ხაშურის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას დიმიტრი ყიფიანის სახელი ეწოდა. ხაშურელებმა ქუჩა კეთილმოაწყვეს: გაკეთდა ტროტუარი, გაშენდა ყვავილნარი, დაიგო ასფალტი, ქუჩის ერთი კუთხე დიმიტრი ყიფიანის ბარელიეფმა დაამშვენა.

ამ დღეებში კი ქართველი ხალხისა და სრულიად საქართველოს წინაშე დიმიტრი ყიფიანის ღვაწლის აღსანიშნავად და უკვდავსაყოფად, აგრეთვე სტუდენტი ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და გაღრმავების, საერთო საქმეებში აქტიურად ჩაბმის მიზნით ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვეტილება მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააწესოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სტიპენდია თვეში 100 მანეთის ოდენობით.

სტიპენდია დაენიშნება სტუდენტს, რომელიც წარჩინებით სწავლობს და აქტიურად მონაწილეობს საერთო საქმეებში.

**ძიუდო.** ტაშკენტში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გუნდური გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. ვაჟთა ტურნირში გაიმარჯვეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ძიუდოისტებმა, რომლებმაც ფინალური შეხვედრა მოუგეს დინამოელებს. ამ პაექრობის ბედი გადაწყვიტა თბილისელმა მძიმე წონის მოჭიდავემ ვალერი პარუნაშვილმა. მან იპონით აჯობა ევროპის ექსჩემპიონს, კუიბიშეველ ხაბილ ბიქთაშევს.

**ფეხბურთი.** როგორც იცით, დამთავრდა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობა. ბოლო ტურში ლანჩხუთის „გურია" ალმა-ათის „კაირატს" ეთამაშა. მართალია, ლანჩხუთელებმა ამ მატჩამდე გაინაღდეს უმაღლესი ლიგის საგზური, მაგრამ ადრინდელი კონკურენტების თამაშმა მაინც საკმაო ინტერესი გამოიწვია. მასპინძლებმა ამჯერადაც გაახარეს გულშემატკივრები და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 3:1. ამ დღეს ცსკა-მ ანგარიშით 4:2 მოუგო ბაქოს „ნეფთჩის".

# საჩემპიონო ორბიტა

საბოლოოდ არმიელებმა 64 ქულა მოაგროვეს და მცირე ოქროს მედლები მიიღეს. 63 ქულით მეორე ადგილზე გავიდა „გურია", „კაირატმა" კი 55 ქულით მესამე შედეგი აჩვენა. ბოლო ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ტავრია" — ქუთაისის „ტორპედო" — 2:0, „როსტსელმაში" — ბათუმის „დინამო" — 2:0, „ფაკელი" — „ყუბანი" — 4:1, სტავროპოლის „დინამო" — „ფახთაქორი" — 2:1, „კუზბასი" — „სპარტაკი" — 1:0, „გეოლოგი" — „შინიკი" — 1:0, „დაუგავა" — როსტოვის ასკ — 3:2, ასკ „კარპატი" — „მეტალურგი" — 1:3, „ნისტრუ" — „კოტაიკი" — 1:1. პირველი ლიგა დატოვეს როსტოველმა არმიელებმა, „დაუგავამ" და ასკ „კარპატმა".

**კლასიკური ჭიდაობა.** რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა. ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს მარტყოფელი კობა გულიაშვილი. მან ყველას აჯობა 62 კგ წონითი კატეგორიის ფალავანთა შორის. სპეციალური პრიზებით აღინიშნა აგრეთვე მეორე საშუალო და ქვემძიმე წონებში გამარჯვებულების, ქუთაისელი გოგი კოღუაშვილისა და თბილისელი ზაურ ივანაშვილის გამოსვლა. დანარჩენ წონებში პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელებმა — გელა პაპუაშვილმა და ზურაბ ნიქაბაძემ, ბათუმელმა ჯემალ ბაკურაძემ, ქუთაისელმა ვასილ ონიანმა, სენაკელებმა — დამირ კირცხალიამ და კობა ოჩიგავამ. მძიმე წონაში ჩემპიონი არ გამოვლენილა. ფინალისტებს — ვასილ ქარსელაძესა და ზაურ ცხადაძეს (ორივე — თბილისი), პასიური ჭიდაობისათვის წაგება ჩაეთვალათ. ორივე მოჭიდავემ ვერცხლის მედალი მიიღო.

**ჩოგბურთი.** პარიზის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა. ფინალში მან ანგარიშით 6:4, 6:3, 6:3, დაამარცხა შვედი სტეფან ედბერგი.

## ტელევიზია—ოთხშაბათი, 8 ნოემბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 10.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლვინის ქურდები". 10.30 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 11.05 — მხატვრული ფილმი „სატრფიალო ბარათები ქვეტექსტით". 12.35 — საერთაშორისო მოდების გამოფენაზე იტალიაში. 13.35 — მოსწავლეთათვის. მეგობრობის მერიდიანზე. 14.20 — კონცერტი. უკრაველ რ. და ვ. გორელაშვილები. 14.40 — ქართული დოკუმენტური ფილმები „მესხების ოჯახი" და „მოხეტიალე მუსიკოსი". 15.25 — „მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავები". 16.25 — ლიტერატურული გადაცემა „შენ გეხვეწები, ცისკარო!" 17.05 — ფართოვდება საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები. 17.50 — ახალგაზრდობისათვის „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ". 18.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საუკუნეებს გაუძლეს მაგრამ"... 18.45 „დილა ჩემს ქალაქში სიმღერებით თენდება". (ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები პ. გრუზინსკის ლექსებზე) 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი". 22.00 — ვრემია". 22.40 — მუსიკალური ტელეეკრანი.

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.40 — კონცერტი. 10.20 — „კულტურათა ერთიანობა...". 10.50 — კონცერტი. 11.30 — ინტერნაციონალური მეგობრობის ფესტივალი. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „მესაათე და ქათამი". I და II სერია. 14.25 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.15 — ნორჩ ვოკალისტთა კონცერტი. 16.15 — კინომერიდიანი. 17.15 — შოპენი. „ინტროდუქცია და ბრწყინვალე პოლონეზი". 17.25 — მხატვრული ტელეფილმი „შეყვარებული თევზი". 18.40 — „ცირკი ყველას უყვარს". 19.25 — „ჩოკოს და ბოკოს თავგადასავალი". მულტფილმი. მეორე ნაწილი. 20.00 — საესტრადო პროგრამა. 21.00 — ბედნიერი შემთხვევა, საოჯახო ტელევიქტორინა, მესამე თამაში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მულტფილმები დიდებისათვის. 23.00 — საერთაშორისო ტელედისკოთეკა. 0.30 — ფეხბურთი.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ფილმი — ბავშვებს. 11.40 — „თაოსნობა". გადაცემა კიროვიდან. 12.30 — უკრაინის სსრ სახტელერადიო. 13.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.30 — კონცერტი. 13.45 — მულტფილმი. 14.00 — „მისი აღმატებულება აკორდეონი". შეხვედრა ვ. კოვტუნთან. 15.00 — „როგორ ბრძანდებით?". რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ე. პეტროსიანის მონოსპექტაკლი. 16.45 — „თორმეტნი". ფილმ-ბალეტის პრემიერა. 17.40 — რუსეთის სფსრ ქალაქების ტელესტუდიები. შემოქმედებითი ბრიგადის „მონიტორის" ტელემოგზაურობა იაპონიაში. 18.40 — „მღერის ლილეა". გადაცემა დნეპროპეტროვსკიდან. 18.55; 20.55 და 22.40 — „კინოსერპანტინი". 20.40 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 1.40 — ახალი ამბები.

ИНДЕКС 66434 № 10534 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14